# ცისკარი.

**1865**

მარტი.

## წელიწადი მეცხრე.

წოდება თხზულებათა:


I — ქვეყნი არამი ანგლიური რომანი (თარგ). ი. კერესელიძისა.

II — ლექსები: 1, უდარდო კაცი. აკ. წერეთლისა. — 2, გაზაფხული. დიმ. ბერიევისა. — 3, * * * ... დმი. გრიგ. რჩეულოვისა. —

III — საქალო სასწავლებელი ტფილისში.

IV — განხილვა. ალ. ცაგარელისა.

V — სხუა და სხუა ანბავი (იხილე მეორე გვერდზედ.)


---


საქართველოს ... თბილისი



ტფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

# რედაქციისაგან.

ჟურნალის დაგვიანების მიზეზი ეს იყო, რომ მოველოდით იმ ასოებს, რითაც პირველი, მოთხრობის ნაწილი დაბეჭდილია. მეორე ნახევარი ისევ ძველი ასოებით დავიწყეთ ბეჭვდა, რა ვერ მივიღეთ თავის დროზედ. ვეცდებით მალე გავასწოროთ და დროზედ გამოვცეთ,

---

სია 1865 წლის ცისკარზედ ჴელის-მომწერთა.

პეტერბურღში.

147 მთავრინა ეკატრინა დადიანისა.

უნივერსიტეტის ბიბლიოტეკა.

ოდესაში.

თომა მაჭავარიანი.

ქუთაისში.

150 გაბრიელ ეპისკოპოზი.

ანტონ გამყრელიძე.

სტავრაპოლში.

მიხეილ ხუდადოვი.

თელავში.

ხჳმონ მელვინეთხუცესოვი.

ალექსანდრე მარჯანოვი.

# ევგენი არამი.

(გაგრძელება.)

## VII

თუმცა არამი მტკიცის და შეურყეველის ხასიათებისა იყო, მაგრამ მკითხველი არ უნდა განჰკვირდეს, რომ ამ სიმტკიცემ და შეურყეველობამ უღალატეს იმას. მაგდალინას სიყუარულმა ძლიერი და ამოუგვარდნელი ფესვები გაიდგა იმისს განმარტოებულს გულში. ყოვლის ღონისძიებით ფიქრობდა გადაეგდო გონებითგან, გადაევიწყნა და ამისათჳს მოერიდებოდა ლეისტერთან მისვლა-მოსვლას, მაგრამ საუბედუროდ, რამდენსაც ცდილობდა უფრო განმარტოებას, იმდენი უფრო და უფრო უძლიერდებოდა სიყუარული, უძლიერდებოდა იმისი შემწველი ალი. ბოლოს, არ იქნა, დასძლია საცოდავი მსწავლული სიყუარულმა; ამ სიყუარულმა განაღვიძა მოუთმენლობითი ნახვის საჭიროება, რომ უეჭუელად უნდა ენახა მაგდალინა, განეცადა იმისი მშუენიერი სახე. ლეისტერი ხშირად შეხუდებოდა ხოლმე არამსა, რომელიცა გამოდიოდა ბუნების სიტკბოების საგემად; და ყოველთჳს, რამდენსაც შეხვდებოდა, იმდენს სთხოვდა, მოსულიყო ხოლმე და გაეზიარებინა ლეის-

ტერის სახლობა თავისის ხშირად მისვლით. არამმა ვეღარ შეიმაგრა თავი, ვეღარ დაიმორჩილა აღელვებული სიყუ̂ა-რული, მეტი გზა აღარ იყო, უნდა დათანხმებულიყო ლეისტერის თხოვნაზედ და დაიწყო იმის სახლში სიარუ-ლი, ჯერ იშჳათათ, შემდგომს ცოტ-ცოტათი მოუხშირა დ ბოლოს თჳთქმის ყოველთჳს იქ იყო. ერთმანერთის გრძნობა, როგორც მაგდალინასი, ისე არამისა, შეხურდა მომატებით. მაგდალინას, რასაკჳრველია უფრო არამის გულისათჳს, ჩაუარდა გულში ბოტანიკის ჴსწავლის სურ-ვილი დ არამისაგან დიდის ყურადღებით მოისმენდა ამ საგანზედ ჴსწავლასა: ზოგჯერ რამდენიმე საათი უჯდა გვე-რდს არამი დ ასწავებდა მაგდალინას ყოვლის მცენარის საიდუმლოებასა. ზევრჯერ გავიდოდნენ ხოლმე ერთად რომლისამე ბალახის მოსაძებნად, რომ აეხსნათ ერთად მნი-შვნელობა იმისი; ხშირად რჩებოდნენ ხოლმე ორნი ერ-თად მარტო დ ეს უფრო თან დ თან აახლოვებდა ერთ-მანერთს.

ერთხელ როგორღაც მოხდა, საღამოხანზედ ლეისტე-რი თავისის ქალებით დ არამი დასეირნობდნენ ერთად. ისინი მიდიოდნენ იმ მინდორზედ, რომელიცა მიდიოდა არამის სახლისკენ. გზაზედ შეხუ̂დათ ბებერი დედაკაცი, თა-ვისის პატარა ქალით, რომელნიცა აგროვებდნენ ჩინჩხვრე-ბსა, რა შეკრიბეს, ბებერმა დიდის პარკით აჴკიდა პაწაწა ქალს დ თანა ტუქსავდა ცუდის სიტყვებით. ლეისტერმა იცნო ეს დედაკაცი ვინც იყო, როგორიც ღარიბი დ არ შეიძლებოდა არა ეჩუქებინა რა ამ შემთხვევაში. ამისი თავს გარდასავალი შორს მოვა რომ გიამბო, ეტყოდა ლეისტე-

რი არამს, რამდენიმე ვაჟკაცი შვილი დაუმარხავს და რამდენიმე გაუბედურებულან თავიანთის ცუდის ქცევით. უკანასკნელში ეს ბებერი იმათი დედა ასეთს სიღარიბეშია.

— ოჰ! წარმოსთქუა არამმა, როდის მოხუდება ერთობა ქუეყანაზედ? რამდენი კეთილშობილურის, მაღალის გრძნობის მქონე კაცი, გაუბედურებულა სიღარიბისაგან, წამხდარა, გარყვნილა და გაუბედავს დანაშაულიცა. ცუდია ქუეყნიერობაზედ ყოფნა! რა ვხედავ გარემოს კაცობრიობას, გული მემსჭუალება! რა ძნელი არის, რომ ამ წამხდარს ხალხს, ვერას გზით ვერავინ ვერ მოაქცევს. რამდენიც მდიდრული ცხოვრება შემოვა ხალხში, იმდენი შეჭირვებაც მომატებული იქნება. სად ვიპოვნით თანასწორობას? ეს თანასწორობა მხოლოდ არსებობს ველურს ხალხში, სადაცა განათლება არ მოიპოვება. თჳთან განათლებაკი პირველი თანასწორობის ბიჯია: დიახ, ადრე სხუა რიგათ ვფიქრობდი და ახლაკი ქუეყანას უყურებ უიმედოთ; სიკუდილი პირველი წამალია.

— ოჰ, არა, სთქუა მაგდალინამ გულმხურვალედ; — რათ ართმევთ კაცსა პირველს იმის სიცოცხლის მასიამოვნებელს: ამაზედ მეტი რა უნდა იყოს სიამოვნება კაცისათჳს, რომ სხუა შენის მიზეზით ბედნიერი იყოს.

არამმა შეხედა მაგდალინას ღიმილით. ამ შეხედულობით სრულებით დაჰკარგა გული.

— მე არ ვამბობ, — განაგრძელა არამმა, სხჳს ბედნიერებაზედ, მე ვამბობ მხოლოდ იმ კაცზედ, რომელსაც არაფერი არა შეუძლიან რა კაცობრიობაზედ. რა საჭირო არის ნიჭი, რომელსაც სარგებლობის მოცემას უფრო მო-

მატებული სალხის ბედნიერებას შეუძლიან, ვიდრე ჭენიას, მაგრამ საკმაოა, თავი დავანებოთ კაცობრიობის ამაოებაზედ ლაპარაკსა; სჯობს მივუბრუნდეთ ისევ ბუნებასა; იმაში ვიპოვნით ბევრს საიმედოს, ბევრს ნუგეშსა.

თვალებმა არამს გაუელვეს და მხურვალედ მიეცა თავისს საყუარელს ბოტანიკის ჴსწავლას. ის ლაპარაკობდა ახლა ვარსკვლავებზედ, ისე მიმზიდველის სიტყვებით, რომ მსმენელნი მოდიოდნენ აღტაცებაში, უმეტესად მაგდალინა.

არცა სიჭაბუკეს, არცა მშვენიერებას, არცა სიმდიდრეს, ერთის სიტყვით არასფერს არ შეუძლიან მიიზიდოს ქალის გული ისე, როგორც მჭევრ-მეტყველებას. მაგნიტური ენის ძალა, ყოველს თილისმაზედ ძლიერია და ამ მაგნიტურის ენის ძალის ღირსებით შემკობილი იყო ჭაბუკი არამი.

## VIII

ლეისტერს დიდათ იამებოდა, რა ხედავდა თავის მეგობრის და ქალის ერთმანერთის სიყვარულსა. ეს კავშირი უეჭველად სახლ-კარობის სიყვარულს მისცემდა არამს, გააბედნიერებდა იმის ქალს და თჳთან ლეისტერიც ბედნიერი იქნებოდა ამ გვარის შვილის მოპოებით. ამაზედ უკეთესს საქმროს ვერ უპოვნიდა მაგდალინას, რადგანაც იმას უკეთ ესმოდა ცოლშვილიანობა და თჳთან მაგდალინაც სწორეთ ზოგი ერთებში იმისს ხასიათებისა იყო, როგორც ჴსწავლის მოსიყვარულე, ერთის სიტყვით ლეისტერს დიდათ სურდა მომსდარიყო ამ ორის პირის ცოლ-ქმრობითის შეერთებით.

რა ამ ფიქრებში იყო კეთილი მოხუცი და დადიოდა თავის ბაღში, უცებ შეხვდა ვალტერი, რომელმაც რა დაინახა, ფიცხლავე პირი მოარიდა.

—ვალტერ! უთხრა ბიძამ, რა მოუწია.—მითხარ ერთი ღვთის გულისათჳს, რასა ნიშნავს რომ აგრე მერიდები, იქნება მაგაზედ მიზეზი გაქვს რამე?

—ოჰ, არა ბატონო, უპასუხა ვალტერმა არეულის სახით, მე შევნიშნე, რომ რადაზედაც ფიქრობდი, ფიქრები არ შეგიმალე.

—ჰმ! შენ მე ფიქრებს არ შემიმალავდი. მე შენგან დაფარული არა მაქვსრა, რასაც ვფიქრობდი, გეტყვი კიდეც და მინდა შენი აზრიც შევიტყო.

უმაწვილმა კაცმა ხელი მოუჭირა ბიძას, და ლეისტერმა შემდგომს უთხრა:

—მე ძრიელ მიხარის ვალტერ, რომ დარწმუნდი ჩვენის ჩინებულის მეზობლის კეთილმობილებაზედ. აგრეთვე იმასაც ძრიელ შემოუვარდა შენზედ გული, დაქებს შენს საზოგადოებასა და ლაპარაკში ყოველთჳს შენზედ დიდს ქებას ამბობს.

ვალტერმა თავი დაუკრა, მაგრამ სახითგან· ის დიდების მოუყვარება გამომეტყველებდა, რომელიცა უმაწვლს კაცებს თჳსებათა აქვსთ.

—სწორეთ უნდა გითხრა,—დაიწყო ვალტერმა,—რომ პირველს ბედნიერებად ვრაცხ ჩემს თავს, ეგვენი არამის ცნობისათჳს; უმეტესად ამ უკანასკნელ წელიწადებში, დაუმატა იმან ამოხვრით,—რასაკჳრველია შენიშნავდი, მაგდალინას როგორ უყვარს ის და ან იმას მაგდალინა. შენი-

მნე თუ არა?

—დიახ, შევნიშნე, უპასუხა ვალტერმა და პირი შეაქცია.

—შენც რასაკჳრველია ისე გესიამოვნება, როგორც მე. ეი, ბედი, რომ მაგდალინას ისე გული მისწევს, იმ ჩინებულს მსწავლულს კაცზედ. ნიშნავს, ყველა კარგათ მიდის, პირველადვე სწორე უნდა ვსთქვა, დიდად მეშინოდა, ვაჲ თუ ბოლო ცუდად მოვიდეს მეთქი. ეს ხომ ასე, ახლა შენთჳსაც უნდა ვიფიქრო ჩემო ვალტერ. მგონია ელეონორა მოითხოვდეს შენგან ბედნიერებას.

—თქჳენ მეტი კეთილი ბძანდებით, უპასუხა ვალტერმა. მაგრამ უნდაკი მოგახსენო, ეგ თქჳენი რჩევა ჭკუაში მოსასვლელი არ არის.

—შენი სიტყვები მე ძრიელ მაკჳრვებს, შენიშნა ლეისტერმა. მე არაოდეს არ მოვიფიქრებდი, აგრე დაამცირებდი ჩემს ელეონორას, შენ თავისუფალი კაცი ხარ, ვისაცა გსურს იმას შეირთავ, მაგრამ ესკი უნდა გითხრა, ღმერთმა ინებოს ელეონორასავით ქალი შეირთო ცოლათა.

—ქჳეყანა დიდია და მეც თავისუფალი გახლავართ. განიმეორა ვალტერმა. მაგრამ საიდგან ვნახავ ქჳეყანას თუ შინა ვზივარ?

—ვალტერ, უთხრა ლეისტერმა, შენ მე მაგას დამუქარებით მეუბნები. ნუთუ ღირსი ვარ მაგისთანის სიტყვებით მოხსენებისა.

ვალტერ დაჩუმდა.

—დიდი ხანია შევნიშნე, რომ შენ როგორღაც გამოიცვალე. დაუმატა ლეისტერმა,—მე ეს დიდად სამწუხარო-

თა მაქჳს. როგორც ადრე, ჩემთან პირდაპირ მოლაპარაკე იყავი, ახლა ისე აღარა ხარ, თჳთქმის ახლა ისეც აღარ გიყჳარვარ. რა არის მიზეზი, არ ვიცი. რამდენსაც ხანში შევდივართ, ჩემო საყჳარელო, იმდენი უფრო ერთმანერთს უნდა დაუახლოვდეთ. როდისაც პატარა იყავი, ალერსით გინახავდი კარგათ იცი. ის სიყჳარული ახლა უფრო საჭიროა. თუ რომ გულში მწუხარება გაქჳს რამე, მითხარი ვალტერ: შენ აქ მხოლოდ შენს მეგობართანა ხარ, რომელსაც თავის თავზედ მეტად უყვარხარ!

ვალტერს გული დაეწო ამ სიტყვებზედ, მივარდა ბიძას, ჴელებზედ აკოცა და მიუგო:

—მართალია, თქჳენა ყოფილხართ ჩემი მამაც, ჩემი აღმზრდელიც, ჩემი დამრიგებელიც და მეც მადლობელსა ვარ. თუ რომ ჩემში ამ უკანასკნელს დროში ცვლილება ნახეთ რამე, თქჳენ არა ბძანდებით დამნაშავე. რადგანც თქჳენ მოითხოვთ ჩემგან პირ და პირ მოხსენებას, მაშ მე თქჳენ გეტყვით. მე ჯერ ყმაწვილი კაცი გახლავარ, ბევრი სურვილი მაქჳს, მომბეზრდა სულ ასე, ერთს ადგილს ყოფნა, ძრიელ მწყურიან ქჳეყნების ნახვა. აი, ჩემის გამოცვლის მიზეზი. აი რისთჳსაც ვარ ხოლმე ხშირად ჩაფიქრებული. ახლა ხომ მოგახსენეთ ყოველიფერი, ახლა ამის გადაწყვეტა თქჳენი საქმეა.

—მეც აგრე ვფიქრობდი, მიუგო ლეისტერმა, მე ეგ შევნიშნე შენის სიტყვებითგან უკანასკნელს დროს. მაგ ჴაზრში ვერ შემიძლიან გაგამტყუნო; წინააღმდეგი ვერ გაგიხდები, წადი ვალტერ თუ რომა გსურს.

ლეისტერს შუბლი გაეხსნა, ლოყებმა ელვარება დაუწყეს

და ვალტერი იდგა. მადლობით თავს უკრავდა.

—შენ რათა ფიქრობდი, რომ მე თანახმა არ შევიქნებოდი, ვალტერ? შენიშნა ლეისტერმა; ეგ იმას ნიშნავს, შენ ჩემ სიყვარულზედ დარწმუნებული არა ყოფილხარ. ნუ თუ შენა ფიქრობდი, უარს გეტყოდი. ეგ სურვილი მეცა მქონდა შენს წლოვანებაში. შენ მაგითი ძრიელ მაწყენინე. ეგ რომ ჩემთჳს აქამდის გეთქო ტანჯვდგან დაგიხსნიდი, რა რომ ვფიქრობდი შენს აგრე უცებ ხასიათების გამოცვლაზედ. მაგრამ, საკმაოა! აგერ არამი და მაგდალინა მოდიან, წავიდეთ და მივეგებნეთ. ხვალ გადავწყვეტოთ, რა დღესაც მოგიხდება წასვლა.

—მომიტევეთ, ბიძა ჩემო, მიუგო ვალტერმა, უცებ რა შედგა და გაყვითლდა, ჯერ კიდევ არ მოვსულვარ ჩემს გონებაზედ; ძრიელ მსურს მარტო ყოფნა და ამისათჳს მე არ შემიძლიან მაგათ მივეგებო.

—ვალტერ! უთხრა ლეისტერმა, შედგა და თვალი თვალს უყრიდა თავის ძმის წულს,—მძიმე აზრმა გამიელვა უცებ თავში! ინებოს ღმერთმა, რომ ამ აზრში შემცდარი ვიყო. ხომ არ გიყვარს მაგდალინა?

ვალტერი მრთელის სხეულით შეთრთოლდა, ცრემლები გადმოსცვივდა ლეისტერს თვალებითგან და ჴელი მოავლო ვალტერს და ამღვრეულით უთხრა:

—ღმერთმა მოგცეს მოთმინება, შჳლო! მე მაგას სრულებით ვერ გამოვიხსახავდი გონებაში.

ვალტერმა შეაქცივა პირი და წავიდა სხვა გზისაკენ.

## IX

რა მოშორდა თავისს ბიძას, ვალტერი გაემართა თავის

საყვარელის სამყოფის მდინარისაკენ, სიყრმითგანვე ეს ალა-გი დიდად უყვარდა; ეს ალაგი იყო მოწამე ბევრის იმის მწუხარებისა, სიხარულისა და ეს ალაგი ახლა უფრო შე-უყვარდა, რა რომ აქ განმარტოებით უფრო თავისუფლათ ფიქრობდა, თავისუფლად ოხრავდა.

დიდი ხანი იყო, რაც უყვარდა მაგდალინა ვალტერს და როდესაც გამოუჩნდა რაყიფი, მაშინვე შეუვიდა გულში იჭვნეულება. პირველად, როგორც შენიშნა მკითხველმა, ვალტერს არამზედ შეუვიდა შური; მაგრამ როდესაც და-ხლოვებით გაიცნო, არ შეიძლებოდა არ დაეფასებინა იმი-სი ღირსება, მაშასადამე არ შეიძლებოდა ამ სიმწრეს თა-ვისი ძალა არ დაეკარგა. დღე და დღე უფრო და უფრო იტანჯებოდა სიყვარულით, ფიქრობდა რამ წამალი და-ედვა თავის თავისათჳს, ბოლოს მეტი გზა არ იყო, უნდა განშორებოდა როგორმე ამ თავისს სოფელს და წასულ-იყო შორს სადმე, ეგება აღარ ენახა არც ერთი და აღა-რც მეორე. სოფლის გრასდელის გარემოება სრულებით შესძულდა, მხოლოდ ერთი იმედიღა აცოცხლებდა და ეს იმედი ის იმედი იყო, რომ თავის ტანჯვის ალაგებს მაინც აღარა ნახავდა. იმას უხაროდა გულში, რომ აღარ გავი-გონებ მაგდალინას ხმასაო, არ დავინახავ, როგორის გრ-ძნობით იმისი თვალები სხვას უცქერიანო და აღარ გავი-გონებ ჩემის რაყიფის სიარულის ფეხის ხმასაო. მე გან-ვშორდები ამ ცხოვრებას, ჩემის მტანჯველის და მომწამლა-ვისას და ნუ თუ ეს განშორება არ დამავიწყებს მაგდალი-ნასაო.

ამ ფიქრში რა მიახლოვდა მდინარესა, უცებ შეეფეთა

გაპრალს. ის იდგა მდინარის პირზედ და ისროდა ბადეს თევზის დასაჭერათ.

—ჰო! ბატონო ვალტერ! დაიყვირა გაპრალმა. აი რას ნიშნავს ქჳწყნების ნახვა. ხომ ხედავ როგორა ვმუშაობ? განა რომ კარგი საქმე გამომირჩევია. ამ საქმეში დიდს კმაყოფილებასა ვპოვებ. ძალიანი ხვდება დღეს. ბევრი დადავიჭირე. რამდენი გავგზავნე შინ! დიდი ხანია ასე ბევრი არ დამიჭერია. მხოლოდ ერთხელკი მახსოვს, იმდენი გელაქნური, კალმახი დავიჭირე, რომ ძლივს მივიტანე ზურგით ჩემის საყჳარელის ქალის მინსონამდინ. ოჰ, რა დედაკაცი იყო. რა შავი თვალები ჰქონდა, ახლა-ტანი! ერთის სიტყვით მეორმოცეს პოლკშიაცკი გამოდგებოდა. რა მიამება ხოლმე, რომ მოვიგონებ. სიყჳარული უნდა გითხრა კარგი რამ არის. მაგრამ შენ უჩემოთაც იცი, რა საჭიროა ჩემი თქმა.

—შენ თავს ნუ ივიწყებ ბონტიგ, შენიშნა ვალტერმა და მეტის წყრომით ლოყები გაუწითლდა.

—მაპატიეთ, მამიტევეთ ბატონო. უზრდელი სალდათი გახლავარ... დიდი ხანია აღარ მინახავს ქჳწყანა, რასაცა ვფიქრობ იმას ვამბობ.

—რათა გგონია, რომ მიყვარდეს ვინმე?

—კი არა მგონია, ბატონო ვალტერ; მეზობლები იძახიან და იმათგან შევიტყე მეცა.

—ჰმ! მეზობლები ძრიელ სულელები და შემცდარნი ყოფილან.

—მაშ მაპატიეთ ბატონო. არა, რაღაც ჭორები შევიტყე, თორემ არ მოხსენებდით და ან რა ჩემი საქმეა

მოხსენება. რასაც ვფიქრობ, იმას ვლაპარაკობ, მაგრამ სწორეთკი უნდა მოგახსენოთ, რომ მაგდალინას არამზედ უკეთესი ქმარი შეჰფერის.

ვალტერმა პასუხი არა მისცა; მხოლოდ კაპრალმა, რომლის კელშიაც გაზდილი იყო ვალტერი და მრავალჯერ აკვანი დაერწია, განაგრძელა.

—სწორეთ უნდა მოგახსენოთ, რომ მე აგრე რიგათ არ მიყვარს ის ვიღაცა მსწავლულია. ერთი რაღაც უცნაური ხასიათები სჭირს; მე იმისი სულ არა გამეგებარა. მადლობა ღმერთს, ქჳეყნები მინახავს! მე მგონია ის ისეთი კრავი არ არის, როგორც გარედგანა სჩანს, არა, იმას რაღაცა შავი რამ უნდა ედოს გულში. რამდენჯერ მინახავს, როდესაც განმარტოებულს ალაგს, ტყეში სადმე შევხვედრივარ, ხან შედგება ხოლმე, ხან შეხტება, ხან შეიჭმუხვნება და ხან ტუჩებს იკვნეტს. ერთი რაღაც საქმე უნდა იყოს აქა. მე მგონია, იმ დროს იმის თავში კეთილი არა უნდა იყოსრა. უნდა გაგიტყდე და გითხრა; ძრიელ მეწყინება, რომ მართლა ის მშჳენიერი ქალი იმას მისცენ. ღმერთმა ნუ ქნას! მაგრამ, მომიტევე, მე თქჳენ გაწუხებთ ბატონო ვალტერ. რა ვქნა! ესეც ერთი შემთხვევაა.

—ტყვილათა სჯი აგრე ადვილათ, ბონტიკ, როდესაც რომ არ იცნობ კაცსა. საფუძველი ხომ არა გაქჳსრა, რომ აგრე ფიქრობ.

—იქნება, მე მართალი არ ვიყო ბატონო; მაგრამ, მე აგრე მგონია. აი რას გეტყვი: მე ისევე ჩემს აზრზედ დავრჩები. მე აგრე მეჩვენა და მგონია, სულ აგრეც მეჩვენებოდეს. მაშ ეს რას ნიშნავდა, რომ ერთი ვიღა-

ცა მოაასნტალა მგზავრი, რომელმაცა პატარა ქალბატო-ნები დააშინა და, რომელსაცა დამბაჩემი ეწყო აქეთ-იქით, კითხულობდა და იძახდა მცნობი ვარო, იმ განთქმულის მსწავლულისა. მრთელი ღამე რისათჳს გაატარა იმ მატა-ნტალამ იმასთან? მგონია ერთის მხრის ფრინვლები არიან ორნივე! მგონია ასე უნდა იყვეს!

—იქნება რა მიზეზი იყო, რომ მრთელი ღამე ერთად იყვნენ. იქნება დაუღამდა და სთხოვა იმ ღამეს ბინა მიე-ცა შესასვენად! თანახმა არა ხარ ამაზედ?

—არა! მე ბევრი ქურდები მინახავს ბატონო. უმაწვ-ლი კაცები ყველასთვერს აგრე მალე დაიჭერებენ ხოლმე.

—აი ბოსტიგ, ახლა იმისთანა შემთხვევა მეძლევა, რომ უეჭველად ბევრში გამოვიცდები. რამდენისამე დღის შემ-დეგ სოფელს გრანდელს ვუტევებ, იმ აზრით, რომ ვნახო უცხო ქურდები, შევიძინო გამოცდილება, სიბრძნე.

—ოჰ! როგორ! ყვიროდა განცვიფრებული კაპრალი. ქურ-დები! როგორ? როდის? სწორეთ მიდიხართ? ვინ მოგ-დევთ თანა?

—მე მარტო მივდივარ. მე ამხანაგი არავინა მყავს. აი თუ წამომყვები ძრიელ დაგიმადლებ, უთხრა გალტერმა ხუ-მბრობით, მაგრამ კაპრალმაკი ნამდვილათ მიიღო.

—ძრიელ კეთილი ბძანდებით ბატონო, უპასუხა კაპრა-ლმა, რასაკვირველია ძნელია მოვშორდე ჩემს ქოხსა, ამ მდი-ნარესა, სადაცა ბევრი კალმახია და პიტერ დილტრის, რო-მელსაცა, უნდაკი ხულს ქურდმა თქვენს გაცმა, წელს იმის-თანა კარგი პივა არა აქვს, როგორიცა ჰქონდა წარსულ წელიწადებში, მაგრამ რა გაეწყობა, უნდა დავთანხმდე თქ-

ქჳენს ბძანებაზედ. სხჳა რომ ყოფილიყო არწავყვებოდი, მაგრამ შენ სიყმაწჳლით გიცნობ, მუხლზედ გამიზდიხარ, ძიძობა გამიწევია შენთჳს, ეს სულ სხჳა საქმეა და, მარ-თლა მიდიხართ, მეც დიდის კმაყოფილებით გამოგყვებით თანა, გზაზედ გამოგადგებით; ტანისამოსს გაგიწმენდთ. მე გამოცდილი კაცი ვარ, ბევრი ქჳეყნები მინახავს, და რჩე-ვის მოცემაც შემიძლიან, თუ გაგიჭირდა სადმე საქმე რამ.

დიდად იამა ვალტერს, ასეთი ერთგული თანხმობა კა-პრალისა. თუმცა ვალტერმა განგებ სუმრობით უთხრა კა-პრალს, მაგრამ ამ გვარ პასუხმა გაალღვა ვალტერის გუ-ლში სურვილი, რომ თან წაეყვანა და უთხრა, რომ მეო-რეს დღეს მისულიყო ლეისტერის სახლში უკანასკნელად მოსალაპარაკებლად და ამ საქმის გადასაწყვეტად. ამასთა-ნავე დაუმატა ბოლტიგმა, რომ ჯამაგირს რამდენსაც მის-ცემდა ვალტერი, ის თანახმა იქნებოდა, რადგანაც ლეის-ტერის პატიოსნებაზედ დარწმუნებული იყო.

## X

ყოველთჳს მაგდალინა და არამი დასეირნობდნენ განმა-რტოებით ერთად მინდვრებზედ. იმათ კიდეც გამოუცხადეს ერთმანერთი სიყჳარული და ამისათჳს სრული უფლება ჰქონდა ერთსაც და მეორესაც არა თუ შეხედვით გამოე-თქჳა თავისი გრძნობა, არამედ სიტყვიერებითაც.

— უყურე, რა მოწმენდილია, რა წმინდაა, რა მშჳენიე-რია ბუნების სასხედაობა, — ეუბნებოდა არამი მაგდალინას, რომელსაცა გაეყარა არამისათჳს მკლავში ჴელი და მისდე-ვდა. ამ ორის თვის წინეთ, როდესაც მარტო დავდიოდი

ჴოლმე, სრული ეს გარემოება მეჩვენებოდა, თითქოს ნისლით დაბურვილიაო. ახლა, ნისლი დ შეღრუბლული დღეები განქრენ ჩემთ თვალთწინ; თითქოს წინათვე ვხედავ ნათელს დღეებს, მხიარულს, როგორც ახლა ამ ბუნების გარემოებას დ, საყუარელო მაგდალინა, ხოლ შენა ხარ ამისი მიზეზი, შენა ხარ მიზეზი ამ ახალის გრძნობისა, სურვილისა, იმედისა, რომელსაცა აქამომდე არა ვსცნობდი.

ჩუენ აქ მკითხველთ აღარ გადავსცემთ, რაც უპასუხა მაგდალინამ, რასაცა გრძნობდა ამ სიტყვებით, რომელნიცა შეადგენდნენ იმისს სიყუარულის ბედნიერებასა. აგრეთვე არ განვავრცელებთ არამის სრულს საუბარსა, რომელიცა სავსე იყო მაღალის გრძნობით, მაღალის პოეზიით, მხოლოდ ამას ვიტყვით, რომ ერთიცა და მეორეცა ამ წუთში ნეტარებითის ნექტარსა სვამდენ.

—მხოლოდ ერთი შემთხვევა, ეუბნებოდა არამი, ზოგჯერ რაღასაც ჩრდილს წარმოუდგენს ხოლმე ჩემს ახლანდელს ბედნიერებასა; ჩემი, მაგდალინა, უეჭუელია მიხუდება, რაზედაც ვანბობ მე ამასა. მე ძრიელ სამძიმოთა მაქუს, რომ მაბედნიერებ დ ამის მიზეზით უბედურება სხუა დ ეს სხუა არის.—ვალტერი, შენ რასაკვირველია შენიშნავდი, როგორ შეიქნა ამ უკანასკნელს დროს ფიქრიანი, სევდიანი; რასაკვირველია მიხუდებოდი, რაც არის ამისი მიზეზი?

—დიახ, ევგენი, მიუგო მაგდალინამ, ძრიელ სამწუხაროდ და სამძიმოთა მაქუს, რასაც შენ მე ახლა მეუბნები. უნდა სწორეთ გითხრა, პირ დ პირ, როგორც ჩემს ერ-

თგულს საყუ̂არელს, რომ მე თჳთან შევნიშნე ეგა; ის ჯერ ყმაწჳლია და ბევრი მაგ გვარი უგუნური ფიქრები აღელვებენ იმას. ყმაწჳლი კაცები როგორც მალე შეპრია-ლდებიან, ისე მალეც დასცხრებიან. თავის დღეში იმათს სიყუ̂არულს ხანგრძლივ ბოლო არა აქუ̂ს.

—ეგ არ შეიძლება ვსთქუ̂ათ, საყუ̂არელო მაგდალინა, სიყუ̂არულს მომატებული სხჳა ძრიელა სძულს. ამ გრძნო-ბაში დიდი წინააღმდეგობაა. ხშირად მოხუ̂დება ხოლმე, როდესაც ერთი პირი ხედავს, მეორეს არ უყუ̂არს, ის პირველი ცდილობს, ამ აპრიალებულის სიყუ̂არულის ჩაქ-რობასა, მაგრამ საუბედუროდ უფრო და უფრო პრიალ-დება; და ხშირად ესეც არის ხოლმე, თჳთ აღელვებული ყმაწჳლური სურვილი, როდესაც შეიქნება კმაყოფილი, და-სცხრება, გარდაიქცევა მშჳდობიან გრძნობად და სიყუ̂არუ-ლი მაშინ არსებობს იმაში მშჳდობიანი და ამასთანავე შე-ურყეველი. ასე შემინიშნავს, ჩემო მაგდალინა ბევრზედ. მეკი, არა ვიცირა სიყუ̂არულზე და დაგივიწყოს ადვილად! როგორი ვწუხვარ ვალტერისათჳს!

—ახ, ევგენი! ნეტა შენ არ გადასხვიდე ხოლმე სხუ̂ებ-ზედ. განა ყველანი ერთგვარად გრძნობენ. შეურაცხქმნი-ლნი თავის მოყუ̂არებას, განშორებით, ძალიან მალე განკურ-ნამენ. შენ არ იცი იქნება, როგორ ადვილად დაივიწყება ყველაფერი.

—მალე დაივიწყებსო! სთქუ̂ა არამმა, რა უცებ შედგა; როგორ მალე დაივიწყებსო! ეგ დიდი ჭეშმარიტებაა, ჩუ̂ენ ყველაფერს ადვილად ვივიწყებთ, დიახ! თჳთან ბუნება გვი-ქადაგებს დავიწყებასა: და მეც.... მეც.... მომეცი ქალი მა-

გდალინა, ოჲ, მეც, თჳთან ვივიწყებ!

არამი მოვიდა რაღაც საოცარს გონებაზედ; იმას სახე ზედიზედ ეცვლებოდა; თვალებითგან გამომეტყველებდნენ რაღაც რამ ველური, მაგრამ ლაპარაკობდა ისე დაბლა, რომ ძლივს ისმოდა, და თითქოს მაგდალინას არ ელაპარაკებოდა, თავისთჳს ლაპარაკობსო, თავისი თავი მარტო ჰგონიაო. როდესაც გონებაზედ მოვიდა, მოაგონდა, რომ მარტო არ იყო, მაგდალინას უყურებდა განცვიფრებით. უცებ თვალების და სახის მეტყველება დაუმშვიდდნენ. იმან აკოცა მაგდალინას ყელებზედ და განაგრძელა მშვიდობის, მდაბლის ხმით:

— მომიტევე, საყვარელო მაგდალინა. ეს გასაოცარი ჩვეულება ხან და ხან გამიახლდება ხოლმე. ისე შევეჩვიე მარტო ყოფნასა, ისე შევეჩვიე ფიქრში მაღლა ჩემთჳს ლაპარაკს, რომ ახლა ხშირად მავიწყდება ხოლმე და მოვჰყვები მაღლა წარმოთქმას იმ ფიქრისას, რომელიცა თავში გამიელავს. ეს ყველაფერი ჩვეულებაა, მაგრამ განმარტოებულს კაცს, ეს ხასიათები სჭირს. ჩვენის საოცარის ხასიეთებით ანდაზათა გვართ დადებულნი. თუ ჩემი სიყვარული გაქჳს მაგდალინა, როდესაც კიდევ შენიშნო ჩემი ეს ველური ჩვეულება, დამცინე ხოლმე და იმედი მაქჳს გადამავიწყდეს. ახ, მოითმინე! შენს ფეხებს ქვეშ, ერთი იშჳათი ბალახია. მაიცა, მე მოვგლეჯ მაგას; დავსხდეთ აქ სკამზედ და მოვილაპარაკოთ ერთად ამ ბალახზედ. თუმცა შეხედულობით, ტურფაა, მაგრამ ამაში საწამლავია.

დიდ ხანს ისხდნენ ისინი და დიდ ხანს ლაპარაკობდნენ. ეს სკამეიკა იყო მაგდალინასათჳს საყვარელი დასასვენებლად ადგილი და უკანასკნელს დროებში (როგორც

მკითხველი ნახავს შემდგომს) ხშირად მოდიოდა იმ ალაგს მაგდალინა, როდესაც არამი წავიდა სოფლით გრანდელიდ-გან დროებით სხვაგან, აქა ფიქრობდა, ოხრავდა და იგო-ნებდა თავისს სიყვარულის საგანსა.

არამმა გააცილა მაგდალინა, ბაღის კარებამდინ და თჳ-თან წავიდა შინათკენ. რა მიახლოვდა თავისს სახლს, გზაზედ შეხვდა ვალტერი. გული შეემსჭვალა არამს, რო-დესაც დაინახა ვალტერი შეწუხებულის სახით, თითქოს ნახევარ მკვდარი. ძრიელ შეეცოდა არამს და ჩუმათ მივი-და ვალტერთან.

—საღამო კარგათ მყოფისა, უთხრა არამმა ალერსით, თუ გზა ერთი გვაქვს, წავიდეთ ერთად.

—არა, მე სხვა გზისაკენ მოვდივარ, უპასუხა ცივად ვალტერმა, ძრიელ ვწუხვარ, რომ არ შემიძლიან თქვენ-გან წამოსვლა.

—მაშ მე შინ არ წავალ, თუ ნებას მომცემ, ცოტა გზას გამოგაცილებ.

ვალტერმა დაუკრა თავი და წავიდნენ ერთად. ორივე ჩუმათ მიდიოდნენ; ვალტერს არა სურდა ლაპარაკი, არც ეძებ-და შემთხვევას, რომ დაერღვია როგორმე სიჩუმე.

—რა კარგი ალაგია ეს ალაგი,—სთქვა ბოლოს, ერთი უყურეთ რა შესახედაობა აქვს ამ გარემოებას. საკჳრვე-ლი სურათია! ჭემარიტად, ბედნიერები ვართ, ასე განმა-რტოებით რომ ვსცხოვრობთ. ჩვენი სიცოცხლეც ისე მხიარულად მომდინარეობს, რა მხიარულებითაც ბუნება. რამდენიც ხალხს მოშორებულები ვართ, იმდენი უკეთესია.

—მე სრულებით წინააღმდეგი აზრი მაქვს მაგაზედ და

მე მინდა კიდეც დავამტკიცო.

—როგორ? განა უნდა დაგვიტეო ჩუენ?

—დიახ! მე მივდივარ რამდენიმე დღის შემდგომ.

—იქნება მართლა! ეგ ძალიან მეწყინა!

რომ უთხრა ძალიანი მეწყინაო არამმა, ამ ლექსმა შეურაცხებით იმოქმედა გალტერზედ.

—ჩემს წასვლაზედ მე არავის წყენით არა ვსაჭიროებ, მიუგო გალტერმა.

—უმაწვლო კაცო,—წარმოსთქუა ცივად არამმა,—ა-რისათვს მწყინს და რისათჳს მეცოდები. თქუენ ჯერ აღე-ლვებული უმაწვლი კაცი ხართ, ქუეყანაში ახლად გაზდი-ხართ და ნუ თუ არ უნდა მებრალებოდე. რამდენი მომა-ტყუებელი იმედი, რამდენი რა მოგელის წინ; რამდენი ტანჯუა, რამდენი ბრძოლა; თქუენ ღონეს ნუ მიენდო-ბით. როდესაც ქუეყანას ნახავთ, შეიტყობთ როგორიც სუსტნი არიან კაცნი.

არაფერს არ შეეძლო ასე გალტერის გაცხარება, როგო-რც ამ დარიგებითამა სიბრძნემ გააცხარეს, ეს სიტყვები დიდ შეურაცხებად მიიღო.

—მოწყალეო ჴელმწიფევ, უთხრა იმან არამს, მაგ გვა-რი დარიგება, მაგ გვარი გულმტკინვეულობით მონაწილე-ობის მიღება ჩემში იმ კაცისაგან, რომელიცა ჩემი ნათე-სავი არ არის და არცა მეგობარი, ცუდ განზრახვად, დიდ შეურაცხებად მიმაჩნია.

არამმა გაიღიმა და მიუგო:

—მოითმინეთ, უმაწვლო. ახლა წყრომის დრო არ არის. მაგაზედ მაშინ მოვილაპარაკოთ, როდესაც დაბრუნდებით

მგზავრობითგან. მაშინ უფრო გამოცდილი იქნები. გამოცდილება ყოველთჳს სწავლაზედ უკეთესია. ამაოდ ვცდილობ ამიხსნა ის, რაც თქვენ არ შეგიძლიანთ გაიგოთ, რომლისაც საქმით შეიტყობთ, მაშინ მოვილაპარაკებთ.

—ბატონო,—წარმოსთქვა გალტერმა, უფრო უმეტეს არამის ღიმილით აღრეულმან, ვიდრე სიტყვებითა; მე სრულებით არ მესმის, რომლის საფუძვლით მარიგებთ. როგორც მსწავლულს, თუ რომ ბიძა ჩემი პატივსა გცემთ და იმისათჳს მიგიღიათ ჩემზედ უფლება, რომ აგრე მელაპარაკნეთ, მე სრულებით მაგით ნებას არ მოგცემ, უმეტესად მაშინ, როდესაც რომ იმისაგან პატივის-ცემის წინააღმდეგი ვარ.

ის შედგა ერთს წუთს, ეგონა არამი პასუხს მისცემდა, მაგრამ იმან პასუხი არ მისცა და მშჳდობიანის სახით წინ მიდიოდა. მაშინ უფრო შეურაცხ-ქმნილი, ჰმსწავლულის გულგრილად მოქცევისათჳს, გაცხარდა და მიუბრუნდა ამ სიტყვებით:

—ჰო, დიას,თქვენ გეუბნებით, ქვეყანაში გამსვლელს დონე უნდაო? ჩემის მხრივ აი რას გეტყვი: ინებოს ღმერთმა შენც იმისთანა წმინდა სინიდისი გქონდეს, როგორიც ახლა მაქვს მე და როგორიც მექნება, როდესაც დავბრუნდები მაშინ.მხოლოდ მარტო იმათ არ უყვართ განმარტოებით ცხოვრება, ვისაც წმიდა სინიდისი აქვსთ. სხვა მიზეზებიცა აქვსთ, ფილოსოფიის გარდა, რომ ისე ეჩოთირებათ ქვეყანაში გასვლა და საზოგადოებას ერიდებიან.

ამ გადაკვრით ლაპარაკმა მეტად გააცხარა ახლა არამი, ის შეიცვალა სახით; ამ უგვანმა ლაპარაკმა, ჰსნანდა, რომ

შეურაცხება მიაყენა. რამდენსამე მინუტს ამ აღელვებულს მდგომარეობაში იყო, შემდგომს თჳთანვე შეიმაგრა თავისი თავი, დაჰკრა ხელი მხარზედ ვალტერს, შეხედა და უთხრა:

—ყმაწვილო! თქჳენს სიტყჳებში აზრი ყოფილიყო რამე, მაშინ უეჭჳელად მოვითხოვდი შენგან ამ ჩემს გაუპატიურებასა, და რადგანაც არავითარი აზრი არ მოიპოვებარა, ამისათჳს მიპატივებია. გასწიეთ, თქჳენის გზისაკენ!

ამ დროს არამს ისეთი მაღალი გრძნობის შეხედულობა ჰქონდა, ისეთი მშჳდობიანი, ისეთი ღრმა ღირსება, რომ ვალტერი სრულებით დაიკარგა, ერთს ალაგს ლურსმანით დაკრულსავით იდგა და ხმა გაკმეტით, თითქოს დამარცხებული, მხოლოდ მაშინ, როდესაც არამმა გასწია თავის სახლისაკენ და გავლო რამდენიმე ბიჯი, ვალტერ თავისის სიცხარის ჩჳეულებით, გამოუდგა წინ გზაზედ არამს და ამღვრევით უთხრა:

—მომითმინეთ. თქჳენ ახლა იმისთანა შემთხვევა მომეცით, რომელიც დიდი ხანია მსურს, თქჳენ თჳთან დაარღჳეთ მშჳდობიანობა, რომელიცა ჩჳენ შორის იყო, თქჳენ გაბედვით დამიწყეთ დამუქარებით ლაპარაკი. მე მსურს, რომ ეგ თქჳენი დამუქარება მოიყჳანოთ სისრულეში და ამასთანავე გამოგიცხადებ, რომ სწორეთ ჩემი განზრახვა იყო, მომეცა თქჳენთჳს შეურაცხება. ახლა შეგიძლიანთ გადამიხადოთ, როგორც იცით და როგორც გსურთ.

ამ ორს რაყიფების შორის ბაასის ყურებად, მართლად და ღირდა, ვალტერს თვალები უბრიალებდნენ, ლო-

ყები ქწოდნენ სიწითლით, ის მოელოდა მსურვალედ ერთს რაღასაც შფოთსა; არამიკი, ფერმკრთალი ჩუეულებრივი, მშჳდობიანი, იდგა აუჩქარებლად და გულგრილად.

—როგორაო? უთხრა არამმა; განზრახუა გქონდა, რომ შეურაცხება მამაყენეთ? ძალიან კარგი! ეგ კეთილშობილუ-რი გამოტყეხაა. მაგრამ რისთჳს? მაგითი რა იფიქრეთ მოგვეგოთ? რათ გინებებია გამოთხოვება საბრძოლველად, იმ კაცისა, რომელსაცა უყვარს მშჳდობიანობა? მაგითი რა გამარჯუებას ნახავდი? თქუენ მოგინდომებიათ გაუპატიუ-რება უმიზეზოთ იმ კაცისა, რომელსაცა თქუენი ბიძა პატივსა სცემს და უყუარს. მაგ შეურაცხებით, უნდა საქ-მისათჳს მიგესწევინა ჩხუბამდინ, ცემამდინ. შეშვენის ეგ მაღალს სულს, რომლითაც წელან თქუენ იკვეხოდით? შე-შვენის ეგ სულგრძელებითს წყრომასა, ანუ კეთილშობი-ლურს სიშურესა.

რა ეს სთქუა, არამმა ამოიღო დამბაჩა ჯიბითგან და რა დაანახვა ვალტერს შორით ხე უთხრა:

—უყურეთ,— ხომ ხედავ პატარას თეთრს, რაღასაცა ნიშანს იმ ხის შუა გულს და ძლივს მოსჩანს, ვინც იმ პა-წაწა ნიშანს ამ სიშორეზედ მოახვედრებს ტყვიას, იმას არ შეეშინდება დუელში გამოთხოვისა.

ვალტერ იძულებით მიუბრუნდა ხეს. არამმა გაისროლა დამბაჩა და შიგ შუა გულს მოახვედრა იმ თეთრს ნიშა-ნსა, და უკანვე ჯიბეში ჩაიდო დამბაჩა.

—სიყმაწჳლეში ბევრნი მტრები მყუანდნენ და მაშინ ვისწავლე ეს ჴელოვნება. ჩუეულებად რადგანცა მაქუს, ყოველთჳს ზედ ვატარებ დამბაჩასა, მაგრამ იმედი მაქუს

არსად დამჭირდეს. ღმერთმა ნუ ინებოს, მომინდეს სად-მე. მაგრამ ისევ მიუბრძანდეთ უმთავრეს საგანს. მე გაწყე-ნინეთ თქუენ. მე მოგეცი მიზეზი, რომ გადამემტერე-ნით. რისთჳს? რაში მდგომარეობს ჩემი დანაშაული?

—განა მიზეზსაცა მკითხავთ? უპასუხა ვალტერმა, კბი-ლების კრაჭუნით. განა თქუენ არ დაუშალეთ ჩემს იმედს, რომელიც იყო ჩემთჳს ქუეყანაზედ ძვირფასი. თქუენ არ მამეცით მიზეზი, რომ ახლა უნდა ვიტანტალო უცხო ქუეყნებში, მოწამლულის გულით?

—მე ვარ მერე მაგისი მიზეზი? ჰკითხა არამმა; ნუ თუ ეგ ბოროტება მე მოგაყენე? ჰო, დიახ, ეგ მე ვიცი. მა-გას მე ვხედავ. მე მაგას შენს გულში ვკითხულობ, და.... ღმერთია მოწამე ვგრძნობ, რაც დაჭრილობა მოვაყენე შენს გულს, რომლის მიზეზი მე ვარ. ახლა იყავით მარ-თლმსაჯული, მომიგეთ, მე ვარ დამნაშავე? თუ მე ვარ, გძულდე, მტრობდე! თუ არა და, გაამტყუნე შემთხვევა და, არა მე.

ვალტერი, იდგა ხმა გაკმეტით რამდენსამე წამს, შემდ-გომს უთხრა:

—საკმაოა! ახლა დროა განვშორდეთ! ახლა ვგრძნობ, რომ ჩემი მტრობა ცოტათი შესუსტდა. ესეც საკმაოა თქუენთჳს, მოტევებასკი ვერ ვითხოვ...

—მე უთქუენოთაც მომიტევებია, წაართვა სიტყუა არამმა, იმის შესახედაობაში იყო, რაღაც მეგობრუ-ლი. მე ყოველში დანაშაული მაქუს. მე რატომ არ ვიცო-დი, რომ თქუენ შეურაცს ქმნილნი ხართ. მითხარით რაც გსურსთ, მლანძღეთ, მე უნდა ავიტანო, მართლა, მე თჳ-

თან ამ შემთხვევაში, რაღასაც გასაოცარსა ვხედავ! როგორ! მე შემიყჳარა იმან, ვინც თქჳენ გიყვართ? განა ეს შესაძლებელია!

არამი კიდევ მიეცა იმ ველურს ჩჳეულებიის ფიქრს, როგორიცა ნახა მკითხველმა, მხოლოდ მაღლაკი აღარა ლაპარაკობდა, ჩუმათ რაღასაც ბუტბუტებდა და თავჩაღუნული დედამიწას დასცქეროდა. ვალტერი დიდ ხანს უყურებდა თავის გასაოცარს რაყიოვს, ბოლოს შეებრალა და გული არ იყო, რომ შეუტკივდა. მაგრამ, ჰპოვებს თუ არა მაგდალინა ბედნიერებას და განცხრომას ამ დაფარულს, საიდუმლოს ნატურაში? ხომ არ დაინანებს თავისგნით ამორჩეულს საქმროს თხოვნაზედ; ამ ფიქრში იყო ვალტერი და როდესაც არამი გონს მოეგო, მიუშჳრა ჴელი ჩამოსართმევლად ვალტერს, რომელმაც უარ ჰყო, მხოლოდ თავი დაუკრა გულგრილად.

— მე უგულოდ ჴელს არავის ჩამოვართმევ, — უთხრა ვალტერმა; ამ საათში ვიყავი ერთმანერთის მტერი და ახლა ვართ მოყვარენი, ეგ უზრდელობაა ჩემის მხრით, ვიცი, მაგრამ....

— დაეხსენი აგრე იყოს, უთხრა არამმა, — მე მესმის. ძალას არ გატან. როდესაც გადაგავიწყდებათ, როდესაც დაჭრილობა მოგირჩებათ, მაშინ გაიცნობთ ახლოს იმას, ვისაც სახავთ თქჳენს მტრათა.

ასე განშორდნენ ერთმანერთს და ლამპა, რომელიცა ენთო ხოლმე არამის სახლში შუაღამემდინ, იმ ღამეს გათენებამდინ ენთო. ვინ იცის, მოწმად ჰსწავლის ფიქრისა, თუ შერყეულის მყუდროებით მდგომარეობისა?

# XI

ეს იყო ვალტერის წასვლის წინა დღეს. ის დიდს ხანს დასეირნობდა. ესალმებოდა მშობლიურს ალაგებს, და როდესაც გაბრუნდა შინ, შეხჳდა არამი შინითგან მიმავალი. ამ მიზეზით აღწერილის შემთხვევის შემდეგ ვალტერმა მხოლოდ ორჯელა ნახა არამი, რომელიცა ისეთივე მოსიყჳარულე იყო, როგორც ყოფილა ადრე და ვალტერი ექცეოდა გულგრილად, უკანასკნელად შეხჳდნენ მოულოდნელად, არამი დააცქერდა ვალტერს, შემდგომს ჴელი გაუშჳრა და უთხრა:

—მშჳდობით, ბატონო. მე შევიტყე, რომ დროებით მიდიხართ. ღმერთმა აკურთხოს თქუჱნი მგზავრობა. შემდგომს დაუმატა მდაბალის ხმით: ახლა მაინც, განშორების დროს ჩამამართვი ჴელი.

რა ესა სთქჳა, გაუშჳრა ჴელი, რომელიცა იყო მარცხენა.

—მარჯუჱნა ჴელი მიეცი, უთხრა ღიმილით მოხუცმა ლეისტერმა. მარჯუჱნა ჴელი ბედნიერი ჴელია.

—არა მგონია, ცივად მიუგო არამმა.

ვალტერი ითაკილებდა ამასაც, რომ არა სცოდნოდა არამის ხასიათი. იმას თავისს სიცოცხლეში მარჯუჱნა ჴელი არავისათჳს მიეცა, თჳთქმის მაგდალინასათჳსაც. ვალტერმა ცივად ჩამოართო ჴელი, როდესაც ლეისტერმა დაუმატა.

—უთუოთ, მკელებურს ჩუჱულებით, გგონიათ, რომ მარცხენა ჴელი მარჯუჱნაზედ ბედნიერი იყოს.

— დიახ, მიუგო არამმა. მშჳდობით.

ის წავიდა. მაგდალინამ გასწივა ერთს ხეივნისაკენ და გალტერმა წაუჩურჩულა რა რაღაც ბიძასა, გაჰყვა უკან მაგდალინას,

დიდად გამოიცვალა უკანასკნელს დროში გალტერი. რამდენისამე კვირაში, დაკაჟკაცდა, თითქოს, მოხუცებაში შედისო. მწუხარება დიდად ცვლის და აბერებს კაცსა. ეს ძველი ჭეშმარიტებაა. გალტერს არ შეეძლო მაგდალინას სიყვარული ასე მალე გადაეგდო გულითგან, მაგრამ ცდილობდა ყოვლის ღონის-ძიებით დაევიწყებინა.

ის მოეწივა მაგდალანას, რომელსაცა რა დაინახა გალტერი, გული შეუშფოთდა. ძრიელ შეშინდა სიყვარული არა გამომიცხადოსრაო და ამისათჳს თჳთანვე დაიწყო ლაპარაკი. ყოველთჳს ამ შემთხვევაში დედაკაცები დაიწყობენ ხოლმე.

— ჩინებული საღამოა, უთხრა მაგდალინამ, და როგორც ეტყობა ხვალ კარგი დღე დადგება შენის მოგზაურობისათჳს.

გალტერ მიზდევდა ჩუმათ და გული მეტის-მეტად უცემდა.

— მაგდალინა, საყვარელო მაგდალინა, მომეცი ჴელი. ნუ გეშინიან. მე ვიცი რასაცა ფიქრობ, და არცა სცდები. მე მიყვარდი და ახლაც მიყვარხარ! მაგრამ მე ძრიელ კარგათ ვიცი, რომ ეს სიყვარული უიმედოა, უიმედოა; და უკეთუ ჴელსა გთხოვ, შეგიძლიანთ მომცეთ გაბედვით.

მაგდალინამ, შეწუხებულმან ამ სიტყვებით მისცა ჴელი გალტერს, რომელმაცა რა დაჰკოცნა, მოიშორა ტუჩებითგან.

— დიახ, მაგდალინა, ძრიელ მიყვარდი და ჩუმათ ვიყავი

განმეორება მეტია. მე ვიცი, ის გული, რომლისათჳსაც მივსცემდი სრულს ჩემს სიცოცხლეს, არის სხჳსა. ახლა, მსურს მოგელაპარაკო მაგდალინა, იმისათჳსკი არა, რომ დაგაყუედრო, ან შეგაწუხო ბევრის ლიჯინით, ჩემის ტანჯჳს შესახებ; მე მხოლოდ მსურს, განშორების დროს გითხრა, რომ გულით და სულით ბედნიერება უნდა იმას, რომლისათჳსაც სადაც უნდა იყოს დაუვიწყარი ხარ და რომელიცა სადაც უნდა იყოს მოგიგონებს ხშირად როგორც იმჳათს, მშჳენიერს ქმნილებასა. ინებოს ღმერთმა ბედნიერი იყო, დიახ, თჳთქმის იმისთანაც, ვისაც შენი გული ეკუთვნის.

—ოჰ, ვალტერ! უთხრა მაგდალინამ გულის ტკივილით და ცრემლით,—უკეთუ მომიცია უნებლიეთი მიზეზი და არა, მეყუარებიხარ, დარწმუნებული იყავი, როგორც საკუთარს შენს დას ისეთი სიყუარული მქონია და ისე მიმიჩნევიხარ, როგორც დედის ჩემისგნით ნაშობი ძმა!

—არა მაგდალინა, მე არა მქონია იმედიანი განზრახუა და არც შენა მოგიცია სიყუარულის იმედი ჩემთჳს, მაგრამ, რადგანც ახლა გშორდები და რადგანც გამიტყდით, რომ ისე მიყუარხარ, როგორც ძმაო, მაშ ნება მომეცი მოგელაპარაკო, როგორც ჩემს დასა.

მაგდალინამ გაუშჳრა დაძმურათ კელი და უთხრა:

—დიახ, სთქვი!

—მაშ მომიგე,—დაიწყო ვალტერმა,—გვიან ხომ არ იქნება, გითხრა, რომ სივრთხილე გმართებს ევგენ არამზედ?

—სიბრთხილეო! შენ მე მაგითი მაშინებ ვალტერ! სთ-

ქვი! ხომ არაფერი რამ დამართებია? ხომ აღარ გინახავს ჩემს შემდგომს. ხომ მწუხარება არ უნდა მიადგეს რა იმას? სთქვი! გევედრები ვალტერ, მალე სთქვი!

—იმას მწუხარება არა მისდგომიარა! მიუგო ვალტერმა ტანჯვითის სახით, რა ნახა მაგდალინა ამ მონაწილეობით არამზედ მოლაპარაკე, მაგრამ იცოდე, მაგდალინა, რომ იმისაგან მწუხარება არა ნახორა?

—ვალტერ!

—მე ძრიელ ვაფასებ იმ კაცს ღირსებით: ის არის გონიერი, ჭკვანი, მსწავლული; იმაში იმისთანა ღირსება არის, რომლით მიიზიდავს ყოველს კაცს, მაგრამ იმისი დაღრუბლული სახიეთები, იმისი განმარტოებითი ცხოვრება, რამდენიმე სიტყუა ზოგჯერ იმისი პირისაგან გაუფრთხილებით წარმოთქმული, უცებ მხიარულებითგან ფიქრებში გადასვლა,—ესენი სულ ერთად.... ვერ ვბედავ გითხრა!... ყოველი ესე ცხადად ჩამაგონებს, რაღაცა საიდუმლოებას. მე არ შემიძლიან დავიჯერო ის ისეთი მშჳდობიანი, ისეთი უმანკო კაცი იყოს, როგორც გარეთგანა სჩანს. მაგდალინა, ბევრჯელ მიკითხავს ჩემის თავისათჳს, ასე რათა მგონია მეთქი ის კაცი; ან იქნება ეჭვით, ან მტრობით მომდის შენგამო, მაგრამ არა, ცხადად ვხედავ მაგითი არ მომდის, ცხადად ისეა, რასაც გეუბნები. მომითმინე! მომისმინე ერთი კიდევ. შენ მაღალი გონება გაქუს, დროა ეგ შენი გონება ახლა გამოიყენო. მოიგონე, რომ შენი ბედნიერება, ერთს ბიჯზედ არის დამოკიდებული! ჯერ კიდევ მოიცადე! თვალ-ყური ადევნე. მოიგონე, რომ შენ დიდი ხანი არ არის, რაც იმას იცნობ, და რა იცი იმისს

განწვლილი ამბავი. რა იცი, რა დაფარული ხასიათები აქჳს, რა თჳსება. მე შენ გთხოვ მხოლოდ ერთს, შენთჳს, ჩემთჳს, შენის დისათჳს და შენის მოხუცის მამისათჳს, ნუ ბედავ აგრე მალე იმის შერთუას? გიყუარდეს კიდევ, უკეთუ გსურს; მაგრამ კარგათკი ადევნე თვალ-ყური.

—გაათავე თუ არა? უთხრა მაგდალინამ, რომელიცა მრთელს ამის ლაპარაკის განმავლობაში ჩუმათ იყო; მაშ ახლა მომისმინე მე. როგორ ბედამ და მირჩევ როგორც მზვერავი მე... მე... ლესტერის ქალს მაგდალინას, რომელსაცა მიყუარს ის კაცი ჩემს თავზედ მეტად, კელი ავიღო,—იხვი არ გეყო, აგრე დაიმდაბლე თავი, რომ თვალყურს ადევნებდი, როგორც მზვერავი. თჳთოეულს იმისს სიტყვებს სწონავდი, ჰპოვებდი რაღასაც საიდუმლოს იმის ფიქრებში და რაღასაც დანაშაულებას ჰპოვებდი! შენმა მაგ განუზომელმა მტრობამ დანაშაულებამდინ მიასწივა. დანაშაულება არ არის, რომ მაგისთანას ცილსა სწამებ შენს მოყუასსა? შეგრცხვეს, შეგრცხვეს შენის უსინიდისობისათჳს! და შენც გეგონა, რომ მე, რომელსაცა მომანდო თავისი კეთილშობილური გული, იქამდინ თავს დავიმდაბლებ, როგორც შენ დაგიმდაბლებია შენი თავი. დამეკარგე აქედგან!

სახე აენთო მაგდალინას, თვალები უელავდნენ, ტუჩები უთრთოდნენ და თან უპატიურის სიტყვებით იხსენებდა კალტერს.

—უსამართლოვ! შესძახა კალტერმა, სიანჩხლისაგან გაუჯთლებულმი და მრთელის ტანის მრთოლვარემ.—როგორ ამბობ შენ მაგეებს იმ კაცზედ, რომელიცა გირჩევს სიყუარულით და უმანკოს გულით.

—სიყვარულით! შესძახა მაგდალინამ, ღმერთო ჩემო, მოთმინებითგან გამომყვანა! მაგას ეძახი შენ სიყვარულს? ამ რამდენისამე წამის წინათ, დავიჯერე შენი სიყვარული და ახლა შენს მაგიერად მრცხვენიან მაგ სიტყვებისათჳს. გესმის მერე რა არის სიყვარული? შენ უგუნურო, ამ სიტყვას «სიყვარული» თჳთ მაღალი კეთილშობილური მნიშვნელობა აქვს კაცის ბუნებაში! შეგრცხვეს, მაგ გვარად იმ ყოვლად ჩინებულის კაცის მოხსენებისათჳს!

—საკმაოა, საკმაო! ბევრს ნუღარას მეტყვი მაგდალინა, საკმაოა, ჩვენა ვშორდებით ისე, როგორც არ მეგონა. მაგრამ რა გაეწყობა? დაეხსენ აგრე იყოს. უკეთუ სინიდისი არ დაგიწყებს ყვედრებას, მაგ უსამართლოებისათჳს, ეგ იმას ნიშნავს, შენ ძალიან გამოცვლილი იქნები, მშჳდობით: ინებოს ღმერთმა არ შეინანო.

ამ სიტყვებით, გაუპატიურებული კალტერი განშორდა მაგდალინას. ის წავიდა შინათკენ და პირ და პირ შევიდა თავისს ოთახში, რომელიცა სავსე იყო ყუთებით, ლონდონში გასაგზავნათ. ამ წასვლის ნიშნებმაც იმოქმედეს უამისოთვე მერყეულის კალტერის გონებაზედ.

—ნუთუ ასე უნდა განვშორდე, ჩემს სამშობლოს მამულს? წამოიძახა მაღლა, შემდგომს დაეცა სკამზედ და დაიწყო ყმაწვილივით ტირილი.

როდესაც ამ ტანჯვამ გაუარა, კალტერს ეგონა, რომ მაგდალინას სიყვარული თითქოს უცებ გულითგან გამოგლიჯეს; იმისი მოგონება, თითქოს სამძიმოთ მიაჩნდა, თითქოს შეურაცხებად. არ იყო, რომ ამ აზრებმა ცოტა დავიწყების ნუგეში მისცეს.

— მადლობა ღმერთს! იძახდა ბუტბუტით ის, — მადლობა ღმერთს! როგორი გამოვიხსენი თავი სნეულებისაგან!

ამ მადლობის გამოთქმაში რომ იყო, უცებ კარები გაიღო და შემოვიდა ელეონორა, რომელიცა ვალტერმა ვერ შენიშნა. იმან შემოიტანა ქისა, რომელიცა დიდი ხანი იყო აღუთქვა ვალტერისათვს, მოექსოვნა. ელეონორამ ამოიოხრა და ვალტერმა შენიშნა იმის თუალებში ცრემლები. ვალტერმა არცკი მოხედა და ელეონორა გამოვიდა ისევე იმ ოთახითგან. ვალტერი მთელი დღე თავის ოთახში იჯდა, როდესაც გამოდიოდა, აიღო ქისა და ჩაიდო ჯიბეში.

ვახშმათ ელეონორას გვერდით იჯდა ვალტერი, რომელიცა ძრიელ ცოტას ლაპარაკობდა. და როდესაც გამოეთხოვა. მდაბლის ხმით უთხრა:

— ღმერთმა მშვიდობით გამყოფოს ელეონორა! ჩემს დაბრუნებამდის გაუფრთხილდი შენ თავს, იმისათვს, ვისაცა უყვარხარ თავის თავზედ მეტათ.

ლეისტერი შევიდა თავის ოთახში, დასწერა რამდენიმე წიგნი, ვალტერის თან გასატანებლათ თავის მეგობრებთან. მაგდალინა, რომელიცა აქამდის ჩუმათ იჯდა ფანჯარასთან. მიუახლოვდა ვალტერს და უთხრა:

— მომიტევე, საყუარელო ვალტერ! მე ვგრძნობ, რომ გაწყენინე, მაგრამ გთხოვ მოტევებასა.

— არა, უპასუხა გულმხურვალედ ვალტერმა, — მეგობრის რჩევას უგუნურებას რასთ ეძახი?

— კარგია, ჩემო ვალტერ. გთხოვ მომიტევო. შემომწყრალი როდი უნდა განვშორდეთ ერთმანერთი? განა ჩუენ თავის დღეში მოგვსვლია როდიმე ლაპარაკი? მე დანაშა-

ული მაქჳს. მომიტევე ვალტერ, თანახმა ვარ, როგორც გსურს, ისე დამსაჯე.

—მაშ კარგი. რაც გირჩიო გამიგონე.

—არა, სხუა რაც გინდა მირჩიე, უპასუხა მაგდალინამ და გაწითლდა.

ვალტერ დაჩუმდა; იმან მოუჭირა მაგდალინას ხელი და პირი შეაქცია.

—მომიტევე სრულებით? სულ დაივიწყე? ჰკითხა მაგდალინამ ისეთის მომხიბლავის ხმით, ისეთის ღიმილით, რომ ვალტერს არ შეეძლო არ ეთქო: დიახ!

ორივე დები ერთად მოშორდნენ. მოხუცებული ლეისტერი დაბრუნდა წიგნებით.

—მე ერთი რამ უნდა დაგაბარო, ჩემო კეთილო ვალტერ! უთხრა მოხუცმა ბევრის დარიგების შემდგომს. შენ ხომ იცი, რომ მტკიცედ დარწმუნებული ვარ, რომ მამაშენი, ჩემი საცოდავი ძმა ცოცხალი უნდა იყოს. თქმა რადა საჭიროა, რომ ყოვლის ღონისძიებით უნდა ეცადო იპოვო იმისი კვალი? რა იცი, დაუმატა ლეისტერმა, იქნება იპოვნო გამდიდრებული. აი ქაღალდი, რაც შევიტყე იმაზედ მას უკან, რაც გაშორდა თავისს სახლსა; აქა ჰსწერია სახელები, სადაცა უნახავთ, სადაცა დამალულა. მე მოუთმენლივ მოველოდები შენგნით ამ საგანზედ ცნობასა.

—თქუენ ტყვილად მეუბნებოდით ამაზედ. საყუარელო ბიძიავ, უთხრა ვალტერმა, არავის, თჳთქმის არც თქუენ, ისე არ უგრძვნია შეწუხება ამ შემთხვევის გამო, როგორც მე. მართალია, უკანასკნელს წლიწადებში, ამ საგანზედ არას ვანბობდი, მაგრამ ბევრჯელ გამიტარებია მრ-

თელი დღე ფიქრებით და დავრწმუნდი, რომ განგებას მოუვლენია ჩემთჳს მოვალეობა, რომლით უნდა მოვძებნო მამა ჩემი. იქნება, ვიპოვნო ის, არათუ მდიდარი, რომელსაცა არა ვსაჭიროებ, არამედ გამართული თავისი ადრინდელის ჩუ̂ეულებათაგან. ოჰ! რა მადლობელს უნდა იყოს, თუ ვიპოვნე, თქუ̂ენგან ჩემს გამოზრდისათჳს. გამოზრდისათჳს იმ ობლისა, რომლისათჳსაც ჩაუნერგავს გულში მამის სიყუ̂არული და პატივისცემა.

—შენ კეთილი გული გაქუ̂ს, ვალტერ,—უთხრა კეთილმა მოხუცმა, რა მოუჭირა თავის ძმის წულს ჴელი ჴელს,—მაგ სიტყვებმა დამაჯილდოვეს იმ მზრუნველობისათჳს, რა მზრუნველობაც შენზედ გამიწევია: უმჯობესია გულში კეთილი დათესოს კაცმა, ვიდრე მინდორზედ ქერი; ამისათჳს, რომ გულში დათესილი და ჩანერგილი კეთილი დაუსრულებელი მოსავალია.

იმ ღამეს ბევრმა ფიქრებმა გაუელვეს ვალტერს თავში, ის შორდებოდა სახლსა, სადაცა სიყრმით გაიზარდა. ახლა, იმის წინ გაიშალა ქუ̂ეყანა, რომელიცა იზიდავდა თავისკენ. არც მოხწუურებია მართლად ქუ̂ეყნების ნახვა და არცა ცნობის მოყუ̂არეობისათჳს მოუვიდა,—არა! იმასა ჰქონდა სხუ̂ა აზრი. ამ მიზეზთან, რომ მაგდალინას სიყუ̂არულს გადავივიწყებო, ჰქონდა სხუ̂ა უმთავრესი მიზეზიცა. იმას უნდოდა, როგორმე მიეგნო თავის დაკარგულის მამისათჳს, როგორმე ეპოვნა იმისი კუ̂ალი, იმისი საიდუმლო ხვედრი.

შეშფოთებულმა ვალტერმა, გააღო თავის ოთახის ფანჯარა, რომ ღამის ნიავი მოხვედროდა და ფიქრები მო-

ქმორებინა: მთვარე ანათებდა გარემოებას, შორით მოჩანდა არამის სახლი, ხოლო ფანჯრის წინ სასაფლაო, რომლის ბოლო ლეისტერის ბაღის ბოლოსთან შეერთებული იყო. ვალტერმა შეხედა ეკკლესიასა და ამის დანახვაზედ იმის გულში გაიღვიძა ლოცვის სურვილმა. ის ლოცულობდა გულმხურვალედ, დიდხანს და სთხოვდა ღმერთს თავის აზრის სისრულეში მოყჳანასა. ლოცჳამ თჳთქმის შეუმსუბუქა მწუხარება, გული თჳთქმის გაუმხიარულდა, დაუმშჳდდა, ის დაწვა კრაოტზედ და ჩქარა დაეძინა.

## XII

ახლა მოვიხსენიოთ, კაპრალის ბოსტიგის ამბავი: რომელსაც ვალტერი ემზადებოდა წასასვლელად, ლეისტერმა თავისის თავლიდგან კაპრალს ბოსტიგს გამოურჩია ჩინებული შავი ცხენი. იმ დროს მოდათ იყო ცხენით სიარული და ამისათჳს ლეისტერმა გამოარჩივა ორი კარგი ცხენი. მოხუცს ლეისტერს ბედნიერებად მიაჩნდა და დიდად უხაროდა, რომ ვალტერს ამისთანა გამოცდილი კაცი მიზდევდა. თუმცა ჯავობ ბოსტიგი ცოტათი ჩერჩეტი იყო, მაგრამ დიდი გამოცდილება ჰქონდა, რომელიცა საჭირო იყო ახალგაზდა გამოუცდელის ყმაწჳლის კაცისათჳს.

თუმცა ბოსტიგს დიდად უხაროდა, რომ ვალტერს მიზდევდა, მაგრამ ამ თავისს სიხარულსა მალავდა და იმუნათებოდა; რა ამტკიცებდა, რომ ამის წასვლით დიდს ზიანს მისცემდა თავისს სახლ-კარსა. სულ იმასა სწუხდა, რომ თავს ანებებდა ახლად თეთრად შეღებულს თავისს სახლს, თავისს დროს გამატარებელს და მეტად ერთგულს

გატასა; ამას გარდა სწუხდა, და ანბობდა, ჩემის ბაღჩის ყვავილების თესლეულს ვინ ამირთმევსო, მაგრამ ვალტერის გულისათჳს და იმის ბიძის სიყუარულისათჳს ვითომც ყოველს თავის სახლეკარის ზიანს თავს ანებებდა. ვალტერიც თავისს მხრივ მადლობდა და აღუთქუამდა დაბრუნების დროს საჩუქარსა.

კეთილმორწმუნე დილტრის როგორღაც შურდა გაპრალის ასეთი ბედნიერება, რომ უნდა გამგზავრებულიყო. ერთს დღეს სადამო ხანზედ გამოიარა ბონტიგის სახლის წინ, აქ შედგა გასაგრილებლად, ამისათჳს უფრო, რომ ბონტიგი თავისს კარებზედ იჯდა:

—აბა, მეზობელო, ახლა როდის აპირებთ წასვლასა?—ჰკითხა დილტრიმ. მგონია ცუდი ამინდი დაგიდგეთ წასვლის დროს;—ამ სიტყვის თქმაზედ აიხედა ცაში. წვიმა მოვა უთუოთ. სიფრთხილით მოიქეცით; არ დასნეულდეთ, თქუენს ხანში ქარი ძრიელ ემტერება კაცსა.

—რაო? ჩემს ხანში? რა გინდათ თქუათ მაგითი? ჩემს ხანში! დასწყევლა ჩემმა სალოცავმა!—წამოიბუტბუტა ბონტიგმა, რა შეხედა თავისს სტუმარს.

პიტერს დიდად ესიამოვნა, რომ ბონტიგმა ითაკილა სიბერე და განაგრძელა, თითქოს მოტყვებითის სახით.

—მომიტევეთ მეზობელო, მე იმ აზრითკი არ გითხარი, რომ როგორც ხანში შესულს მოგზაურობა არ შეგეძლოს. არა ჭეშმარიტად. აი ჩუენი მეზობელი ოთხმოცის წლის მოხუცებულია, მაგრამ შარშან ლონდონში იყო.

დილტრიმ უკანასკნელი სიტყუა თქუა და ფსალმუნით-

გან ერთი მუხლი ზეპირათ წარმოთქჳა.

—დასწყევლა ღმერთმა! სთქჳა კაპრალმა და დაიწყო ერთს ალაგს ტოკჳა.

—თქჳენს კატას რაღას უზამთ? რასაკჳრველია, აქ არ დააგდებთ?

—დიახ! მიუგო კაპრალმა ამოხვრით,—სწორეთ მოგახსენოთ, ეგ დიდად სამწუხაროთა მაქჳს

ამ უკანასკნელის სიტყვის შემდეგ, ბონტიგმა დაუწყო ჴელის წასმა დიდ კატას, რომელიცა გვერდით უჯდა და რომელიც ელაქუცებოდა პატრონს.

—რას უდგეხართ აგრე გარეთ, მეზობელო, შემობძანდით შინ. უთხრა ბონტიგმა ალერსით.

—არა, მადლობელი გახლავართ, აქაც კარგათა ვარ. იქნება არ გესმოდეთ აქედან, რასაც გელაპარაკებით, მაგრამ შარმანდელზედ, წელსკი უფრო უკეთ გესმით.

—დასწყევლა ღმერთმა! წაართვა სიტყჳა კაპრალმა ისეთის ხმით, რომ დილტრი შეკრთა. ისე არაფერს არ იწყენდა კაპრალი ბონტიგი, როგორც ეს თავისი ხნიერების მოხსენება ეწყინა, მაგრამ, რადგანაც სათხოვარი ჰქონდა ამ დროს ბონტიგს დილტრისთან, ამისათჳს, როგორც იყო თავი შეიმაგრა და დამშჳდდა.

—შემობძანდით თქჳენი ჭირიმე მეზობელო. ცოტა ოდენი საქმე მაქჳს თქჳენთან.

პიტერ დილტრიმ უარი ვეღარ უთხრა, მივიდა და ბონტიგს გვერდს მიუჯდა.

—აი აგრე! ღმერთმა გიშველოს. ახლა შენ მეორმოცე პოლკშიაც გამოდგები! უთხრა ალერსით ბონტიგმა რა

მხარზედ ჴელი მაგრად დაჰკრა.

— გამიგონეთ! ჰა, უყურეთ! როგორი კატაა! მართალია თუ არა?

— ჰმ! — წამოიბუტბუტა პასუხის მაგიერ პიტერმა.

პიტერ დილტრი თუმცა კეთილი კაცი იყო ბუნებით-ვე, მაგრამ საშინლათ სძულდა კატა. ამასთანავე ესეც უნდა ვთქჳათ, რო ბონტიგის კატისაგან მრთელი სოფელი შე-წუხებული იყო. კაპრალს ჰქონდა დიდი კეთოვნებითი ნი-ჭი პირუტყვების მასწავლებლობისა: ისე სწვრთნიდა ძაღ-ლსა, რომ ხრმლის თამაშობა შეეძლო, — აგრეთვე ცეკვაობა. ეს კატაც დიდად გაწვრთვნილი ჰყვანდა, მრთელს თა-ვის უქმეს დროს, ამ კატის გაწრთვას ანდომებდა. იმი-სის გაწვრთნილებით, ხტოდა როგორც უბძანებდა, მივა-რდებოდა, კაპრალი ვიზედაც უბძანებდა, მეზობელს მოჰპა-რავდა რასმეს, პატრონს მოუტანდა და ამ გვარი ტაციობა კაპრალს სჯულიერად მიაჩნდა. დიდად თავს მოსწონდა ბონტიგს, რომ ასე კარგათ გაეზარდა კაპრალს თავისი კატა, მაცრამ როგორც ზემოთა ვსთქჳთ, მრთელი სო-ფელი შეწუხებული იყო, ამის ზრდილობიანის კატისაგა-ნა, უმეტესად მეზობლები. თუ რომ მეზობელი მისწ-რობდა თავისს საკუჭნაოში ამ კატას და ნახავდა იპარამს რასმეს, ხმა უნდა გაეკმიტა, არა ეთქჳარა, რადგანც ბონ-ტიგისა ერიდებოდათ, ამას გარდა ის კატაც ისეთი გაწ-რთნული იყო, რომ თუ ხმა გაეცა, ფიცხლავე მივარდე-ბოდა და თავპირს ჩამოაფხაჭნიდა.

ხშირად მოდიოდნენ იმ სოფლიდგან მოციქულები, ბო-ნტიგის კატაზედ საჩივლელად, მაგრამ ეს ჩჳტნი ბონტი-

გი თავის დღეში არ გაამტყუნებდა თავისს ცხოველს, ის კატაც, თითქოს ეშმაკის ჩაგონებით, უარესებს ჩადიოდა. რამდენჯერმე მოუხდნენ, მოთმინებითგან გამოვიდნენ სოფლელები, რომ ბონტიგს მოეკლა თავისი კატა, ან ოთახში სადმე დაემწყვდია. პატრონი არა თანხმდებოდა და თჳთან კატაც უფრო უმატებდა თავისს ქცევას. თითქოს მოჩივრებზედ გულს მოსული იმაზედ საჩივრისაგამო, ამითი სჯიდა. ერთხელ, ბონტიგის წასვლის უგანასკნელს დღეებში ხმა გაისმა სოფელში, ბონტიგის კატამ კნუტები დაყარა, ამ გაგონებაზედ მთელი სოფელი მოვიდა ალრეულებაში და თავის დღეში ისე არ შეწუხებულიყვნენ, როგორც ამ ამბავით შეწუხდნენ. მცხოვრებნი მოწყენის სახით ულოცავდნენ ერთმანერთს ამ კნუტების დაბადებას, დარწმუნებულნი იყვნენ, ბონტიგი ამ ახლად სოფლად მოსულს ცხოველებს დედაზედ უკეთესად გაწრთვიდა და მთელს სოფელს აავლებინებდა. საწყალს სოფლელებს აქამდის იმედი ჰქონდათ, ერთხელაცარა განთავისუფლდებოდნენ ამ კატისაგან ან სიკჳდილით, ან სხჳა რამ მიზეზით, მაგრამ როდესაც ათი ერთად დაყარა კნუტი, სრულებით იმედი გადაუწყდათ, მაშინ!

კაპრალს, მთელს ქჳეყანაზედ ყველაზედ მეტად უყვარდა თავისი კატა და ამ თავის განმგზავრებაში, პირველი მზრუნველობა იყო კატა, თუ რომლის სანდო პირისათჳს ჩაებარებინა, რომ უვნებლად დახდომოდა დაბრუნების დროს. იმან იცოდა, როგორც გადაკიდებულნი ჰყვანდნენ კატას სოფლელები და არ იცოდა რა მოეფიქრებინა, და როგორ მოეპოვნა იმისთანა კაცი, რომელსაცა დიდი მფა-

რველობა ჰქონიყო ამ გატაზედ. მაგდალინას მამამ ლეისტერმა, მართალია უთხრა ბონტიგს იმასთან გაეუშა ეს გატა, მაგრამ საუბედუროდ იმისი მზარეული მეტად გადაკიდებული ჰყვანდა. ამ მიზეზით გაპრალმა უარი უთხრა. მრთელი სამი ღამე არა სძინებია ბონტიგს ფიქრებისაგან, თუ ვისათჳს ჩაებარებინა თავისი ერთად ერთი საყუარელი მრთელს ქუეყანაზედ გატა. იფიქრა-იფიქრა, ბოლოს, მეტი გზა არ იყო უნდა მიენდო თავის მეგობრის დილტრისათჳს, რომელიც მიაჩნდა კეთილ და პატიოსან კაცად. როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ პიტერ დილტრი არ იყო გატების მოსიყუარული, უმეტესად ამისთანა ბოროტის გატისა და ძნელი იყო მაშასადამე დაეთანხმებინა

ბონტიგ ისეთის ხელოვნებით, ისეთის ოსტატობით. შეუდგა თავის გატის საქმეს, რომ ევროპიის პირველს მხატვრულის გაუჭირდებოდა. იმან დაისჳა თავისი გატა მუხლზედ, (ჩუენ დაგვავიწყდა და ვერ მოვახსენეთ მკითხველებს, რომ ამ გატას დაარქჳა თავისი სახელი, ჯაკობინა) და ჰსთხოვა დილტრის მიექცია თავისი ყურადღება, თუ როგორ მშჳდობიანათ იჯდა მუხლზედ. ეს კიდევ არაფერი, ბონტიგი ისე ჩააცივდა დილტრის, იქამდინ ელაპარაკა, რომ მეტი გზა არ იყო დილტრის ხელი უნდა გადესჳა გატისათჳს, რომელმაც ნიშნად მადლობისა, გადავიდა იმის მუხლზედ. არ შეიძლება არა ვსთქჳათ ესეც, რომ ჯაკობინა, როდესაც პატრონსა ხვდავდა მშჳდობიანად იყო.

—სწორეთ მოგახსენო, ბატონო დილტრი, ეს ჩემი გატა, საკჳრველი მშჳდობიანია.

—ჰმ! წარმოსთქჳა პიტერმა და შეიწმიდა ჴელსახოცით ჴელები, რომელსაცა კატას უსვამდა.

—ბევრი უსამართლოება არის ქჳეყანაზედ. განაგრძე-ლა კაპრალმა,

პიტერმა ამ შემთხვევაშიაც, წარმოსთქჳა, ორიოდე მუ-ხლი ფსალმუნიდამ.

—ჩინებულია ეგ! ჩინებული მუხლი წაიკითხე ფსალმუ-ნიდამ! უთხრა კაპრალმა, რა არის ესიამოვნებინა. დიახ, მე მოგახსენებ უსამართლობაზედ. აი, თუნდა მაგალითად ავიყვანოთ ჩემი ჯაკობინა: ჩინებული კატაა, პირველი სა-რწმუნო მოსამსახურეა, და მრიელი სოფლელიკი ამ საწყალის წინააღმდეგია. რას არ უგონებენ ამ საცოდავს. ისეთს ცო-ლებს სწამებენ, რომელსაცა თჳთან ეშმაკიც ვერ გაბედავს. მე ხომ მაგას არ ვიტყვი, რომ გამბედავი არ იყოს,—არა, გამბედავიც არის, ყოვლის ფერის გარეყვაცა აქჳს და ცო-ტათი ქურდიც არის, განა როგორი ქურდი? უსამართლო-გაცებსა ჰპარავს, სხჳასხვა არავის. სოლომანა მეღვინეს, ერბო მოჰპარა! რასაკვირველია უნდა მოჰპაროს, ახლა იმა-ნაც დაიწყო პოვის გასყიდვა, რა არის შენ ზიანი მოგცეს, ასე არ არის? მგონია, შენ არ გიყვარს ის სოლომანა არის ვიღაცა?

—კარგი იქნებოდა, რომ მარტო ეგ დაეშავებინა შენს ჯაკობინას!—შენიშნა პიტერმა.

—მარტო ეგ დაუშავებია, სხჳა არაფერი! აბა სხჳა რა დაუშავა? ჰო, განარეიკა რომ შეუჭამა ჯონტომკინს. აი, იმ ჩჳენს მეზობელს? ავი კაცი არ არის თუ ღმერთი გწამს? ავი კაცი არ არის მაშ რა არის. იმ დღეს მეუბ-

ნებოდა პიტერ დილტრი კი არა გალობს, ყვავსავით ჩხავისო. აბა, ეს როგორიღაა?!

—ჴო, რასაკჳრველია, მაგაში გასამტყუნარი არ არის საწყალი ჯაკნობინა,—ესა სთქჳა და ჴელი გადაუსვა პიტერმა კატას. კატა ფრინველს ყოველთჳს შესჭამს, განგებისაგან აგრე არის დაწესებული.—ეს რომ სთქჳა, საჩქაროდ ჴელები ჯიბეში ჩაიწყო და დაუმატა,—მაგრამ, ეგ არ იყო, რომ ჴელებში დაათჳსაჭნა საწყალს მედუქნის ყმაწჳლს ისე, რომ სულ სისხლი დასდიოდა, თოკი მოუპარა იმის მამის დუქნიდგანა, ყმაწჳლს წაერთმივა და ეგეც ფიცხლავე მივარდნოდა?

—ეგ ჩემგნით იყო, მე თქჳნ გაგიტყდებით და სწორეთ მოგახსენებთ მეზობელო, როგორც იყო. მე მინდოდა თოკი მეყიდნა იმ დუქნიდგან, მიველი და ადლში ექჳსი შაური მთხოვა. გაგონილა ადლი ექჳს შაურათ?

—იქნება მაგ ფასად ღირდა.

—მაგ ფასადა ღირდაო! არა განა რასაც ითხოვენ, ის უნდა მისცეთ. რაღა კაცობა იქნება, ყველა ვაჭარმა მომატყუოს. ვაჭრობა, ცოდვა არ არის, ეგ ხომ გინება არ არის, ასე არის თუ არა?

—ღმერთმა დაიფაროს! რასაკირველია არა! მიუგო პიტერმა.

—ის თოკი, ჯაკობინამ მოიპარა საკუთრად თქჳნთჳს უთხრა ბონტიგმა,—და, თქჳნც ამისი წინააღმდეგი ხართ.

კაპრალი ადგა, გავიდა მეორეს ოთახში, პატარას ხანს უკან ისევე შემოვიდა და თან შემოიტანა თავისი ბადე.

—აი, პიტერ, ეს ბადე თქჳნთჳს გავაკეთებინე დი-

მონებისათჳს მადლობა უბძანეთ ჯაკობინას; ეს თოკი ამან იშოვნა. ერთხელ, აი როგორც ახლა, ვიჯექი კარებთან და ვეუბნებოდი ამ ჩემს ჯაკობინას: »ჯაკობინა! პიტერ დილტრი ჩინებული კაცია, ლიმონებს ყუთებში ინახავს სადაც ქარი ვერ უვლის და ლპებიან; მოდი გაუკეთოთ თოკის ბადე, კალათასავით. ერთი უყურე, პიტერ, ჯაკობინას, თითქოს ესმის რასაც ვამბობთ! ჩუჱნ გავსწიეთ ერთად დუქნებისაკენ და დავანახვე თოკი. აი ასე იყო საქმე, თქუჱნი გულისათჳს ჩავარდა მაგ ხიფათში.

— ოჰ, იქნება მართლა! მიუგო პიტერმა სიცილით. საწყალი ჯაკობინა, კიდეც აგრე ყოფილა, მეც არ მეგონა...

— აი, აგრე საყუარელო პიტერ, უთხრა კაპრალმა და ჩამოართვა ჴელი თავისს მეგობარს,— ახლა მე მინდა დაგიმტკიცო მეგობრობა საქმით და დიდი რამ დაგავალო.

— დიდად გმადლობ საყუარელო მეგობარო. მე საკმაოდ ვიცნობ შენს კეთილს გულს, მაგრამ არაფერიკი არა მინდარა თქუჱნგნით.

— კარგია თუ ღმერთი გრწამსთ ერთი! უთხრა კაპრალმა. მე იმ კაცებისა არა ვარ, რომელთაც შურთ მოყვარეზედ საქმის დავალება. იცი რა? აი რას გეტყვით მე თქუჱნ. ოთხშაფათს, ძალიან ადრე, ისე რომ მინამ გათენდებოდეს, მე მივდივარ აქედგან და ჩემს მგზავრობის ყოფობის დროს, თქუჱნ....

— რაო, რა ანბავია, კეთილო ბონტიკ?

— ის ანბავია, რომ თქუჱნ უნდა მიიღოთ თქუჱნს მფარველობასა ქუჱშე, ჩემი ძჳრფასი ჯაკობინა.

— როგორაო? ჩემს მფარველობასა ქუჱშე ავიყვანო ეშმაკზედ ეშმაკი! დაიყვირა პიტერმა.

—ოჰ, ღმერთო ჩემო, არა ეგ რა სათქმელია! ჯერ ერთი მომისმინეთ.

—არ მინდა მოსმენა, არ ვსაჭიროება.

—ძალიან კარგი, მაგრამ ერთი მომისმინეთ,.,

—არ მინდა მეთქი, დასწყევლა ღმერთმა...

ცხადია პიტერ დილტრი ძალიან გულზედ მოვიდა, ამისათჳს რომ თავისს სიცოცხლეში ამისთანა სიტყვები პირითგან არ ამოეშვა.

—ჰო და კარგი, არ უნდა თქჳენი მფარველობა, უთქჳენოთაც გაახანჩალებს როგორც იქნება! ჯაკობინა უკეთ განარჩევს ვინც მეგობარია და ვინც არა, ჯაკობინა თავის კეთილის მდომს თავის დღეში არ შეაწუხებს და არც მტერს დაუკარდება, თქჳენ ხომ უარი სთქჳთ, ეგ ამას ძალიან კარგათ ესმის. რადგანაც აგრეა, მაშ ბრთხილათ იყავით! აგრე უსაფუძვლოდ ჩემის კატის გამტყუვნება არ შეიძლება. სულ ერთია თუნდა ჩემთჳს მოგიყენებიათ ეგ შეურაცხება.

—რომ მომპაროს რამე, მერე? წარმოსთქჳა პიტერმა.

—განა თქჳენთჳს მოუპარავს რამე თავის დღეში?

—არა; მაგრამ რომ....

—მე თქჳენ გკითხავთ, თქჳენთჳს მოუპარავს რამ თუ არა თავის დღეში?

—არ შემიძლიან ვსთქჳა, რომ მოეპაროს.

—არა, სწორეთ მითხარით, მოუპარავს რამ თქჳენთჳს თუ არა?

—მეკი არა მახსოვსრა და... მაგრამ.,.

—მენანება, თავის დღეში კაცისათჳს გვიან არ არის რომ მომპარ...,

—გამიგონებთ თუ არა, რასაცა გკითხავთ, შეჭყვირა მოთმინებითგან გამოსულმა კაპრალმა.

—კარგი, მესმის.

—ყურს მიგდებ?

—დიახ!

—მაშ იცოდეთ, რომ თქუენთჳს მინდოდა დამეკალებინა.

—ჴმ.

—მე მისწავლებია ჯკაობინასათჳს ის, რაც ახლა იმან იცის.

—დიდათ გსწუხუარ.

—მოითმინეთ, გამიგონეთ. მე მისწავლებია ამისათჳს რომ ჩემს მეგობრებს არ შეეხოს, იმათის სახლითგან არა მოიპაროსრა, არავინ დაუკაწროს, ჭამოს მხოლოდ თაგვები, რაც რამ იშოვნოს მე მომიტანოს, რაც რამ უბძანო გამიგონოს და ჩემი სახლი ისე დაიცვას, როგორც ციხე. ამისთანა ძჳრფასი უნჯი უნდა თქუენთჳს მომეცა: ახლა რასაკჳრველია, რომ აღარ მოგცემ.

—ჴმ!

—გამიგონეთ, როდესაც აქედგან წავალ, ჯაკობინას ერთს ლუკმა პურს არავინ მიუგდებს. არც საჭიროებს. თავის თავს თჳთან შეინახავს. ყველას სახლში შეძვრება, ყველგან საზრდო აქუს მომზადებული. თუ რომ თქუენი ცოლი იმისთანა ქეიფზედ მოვა, რომ გამოგდებას დაუპირებს, მივარდება და თავპირს დააკაწრის. მე იმისათჳს გაძლევდი რომ ამ განსაცდელებისაგან მინდოდა გამომეხსენით, რადგანც არ ინებეთ, ახლა თქუენი ნებაა.

—ეგ ძალიან კარგი, მაგრამ მაგისთანა ეშმაკი ჩემს სახლში როგორ შემოუშო?

—ეშმაკიო? როგორთუ ეშმაკი. წელან არ გითხარ, თუ

მიიღებ თქჳენს მზარეულობას ქჳეშე, არავის თქჳენს სახლობისას არ შეეხება მეთქი. უპატრონეთ და არც შიში გექნებათ, ხომ ხედამთ, როგორ უბრალო საქმეა.

— ძალიან ცუდად არის საქმე! სთქჳა დანანებით და გაიქნივა თავი პიტერმა. ეგ როგორღაც სასიამოვნო არ არის, ან მეტი რა გზაა, როდესაც ვერ ასცილდები, სხჳა ფრივ, მაგ უმსზავსოს მხეცსა.

— უმგზავსოსა! თქჳენ უნდა დიდ სიამოვნებათაც მიგაჩნდეთ, ამისი მოცემა, მერე რა რიგი უყჳარსართ, ამ საცოდავს. ერთი უყურეთ, როგორ გეალერსებათ; მაგისათჳს ამოგირჩივათ მრთელს სოფელში თქჳენ აი!

— არა, გსთქჳათ მე ავიყვანე, ცოლი რას მეტყვის? მაგის სახელის გახსენებაც საზიზღრად მიაჩნია.

— ეგ მე ვიცი, მე მამანდევი, და მე ვიცი რასაც ვეტყვი შენ ცოლსა, მაგ საქმესაც მე მოვახერხებ, მე იმას მოუტან ამის გულისათჳს, მშჳენიერს საკაბეს ლონდონითგან და სხჳა შალეშს! ან არა და, ჩაინიკს! ეს ყველასა სჯობია, რადგანც სახლში ყველას გამოგადგებათ. ჩაინიკზედაც ამოვაჭრევინებ თქჳენის სახლობის სახელსა და გვარსა. იმასთან იქნება ორი ყუთი, ერთი ჩაისა და მეორე შაქრისა. ჰა! ხედავ რას ნიშნავს, ვისაც მე უყვარვარ და ჩემი კატა. ბონტიგი თავის დღეში უსამსახუროთ არავისთან დარჩება.

— კარგია, კარგი! მაშ თქჳენ თჳთან მოელაპარაკენით ჩემს ცოლსა.

— მაშ თანახმანი ხართ! მადლობელს გახლავარ, ჩემო კეთილო მეზობელო! მერწმუნეთ ჩინებული კაცი ხართ.

კიდეც იმისათჳს ხართ პირველი პირი, მრთელს სოფელ-ში. თუ რომ მზრუნველად ეყოლებით ამას, თუ რომ არა ვინ შეაწუხებს ამას... მაგრამ ჰო, კარგა რამ მამაგონდა, გახსოვსთ წარსულს კჳრას რა მშჳენივრად გალობდით.

«შურით უნდათ მომიკლან
ძჳრფასი უნჯი ჩემი...»

— მე არ მეგონა, რომ კიდევ გახსოვდებოდათ გაპრა-ლო, ღიმილით უთხრა პიტერმა.

კატა პიტერს კიდეც კალთაზედ უჯდა და უალერსებდა.

რა ეს გაათავა, წავიდა შინ, დაკეტა თავისი სახლის კარები და გასწია სპოტენდოგისაკენ, ჯაკობინაც უკან მიზდევდა.

პიტერის ცოლი მოეგება, როგორღაც წარბებ შეკრული, მაგრამ ბონტიკმა იცოდა ვისთანაც საქმე ჰქონდა. ოთხშა-ფათს დილით ჯაკობინა გადაასახლეს ახალს სადგომში პიტერ დილტრისთან და თანაც კალათით მიაყოლეს კნუ-ტები, რომელნიცა მძიმეთ ეხვივნენ ნაბადში.

მკითხველო! აქ არის ცოტათი მაგალითი: ყველას არ შეუძლიან თავისს კატას ამისთანა ბინა აუჩინოს.

(ბოლო შემდგომს ნომერში იქნება.)

## უდარდი კაცი.

ყველასათჳს კარგი მსურს,
ბოროტების მტერი ვარ.
გულში არ შეუშვებ შურს
და მით ბედნიერი ვარ!...
მე ბევრს არას დავეძებ,
რაც მაქჳს, ცოტა, ვჯერი ვარ;
ქვრივ-ოხერს არას ვტაცებ,
ისეც ბედნიერი ვარ!....
პატიოსან ოფლსა ვღვრი,
მეც მუშაკათ ვწერივარ;
უსაქმურ კაცს ვუყჳრი:
«მხედავ, ბედნიერი ვარ!!..
ხან მაქჳს წყალი და პური,
ხან და ხან მშიერი ვარ,
მაგრამ ბედს არ ვემდური,
მაინც ბედნიერი ვარ!...
მიყჳარს თავის უფლება;
მუდამ მისი მღერი ვარ
და სხჳა რა მენაღვლება?
ვარ და ბედნიერი ვარ!!...
ბატონიც ვარ, ყმაცა ვარ,
ჩემთჳს ყველა ფერი ვარ!
ხომა მხედავთ, რაცა ვარ?
ვარ და ბედნიერი ვარ!.—
ცუდ საქმეში, ღალატში,
არვის დაუჭერი ვარ;

არ ვყოფილვარ სალათში,
მაგრამ ბედნიერი ვარ!.
მიყუარს გაჭირვებული,
მეც მისებრ ობერი ვარ!
თუმც არ მაქუს გროში ფული,
მაგრამ ბედნიერი ვარ!...
დიდ კაცებს თავს არ უკრავ
—რა მათი საფერი ვარ?—
უმათოთაც, არ ვფარავ,
ჩემით ბედნიერი ვარ!....
სანამდის მაქუს ძალ-ღონე,
ვიდრე არც ხნიერი ვარ
ვიმახებ თავ-მომწონე:
ვარ და ბედნიერი ვარ!»

ი. ა. წერეთელი.

---

## გაზაფხული.

მეცა ველტრფი გაზაფხულო,
მეც დავხარი შენს ბუნებას;
მოილხინე ტრფობით გულო,
გაზაფხული გაძლევს ნებას!
მრავალთ გაქვს გაზაფხულო!
მშუენივრად, ტურფად შემკულო—
მე რაღა ვჴსთქუა ვით დაგმღერო
და ანუ რაღა დავსწერო?
შენა ჴმუნი, ამ დროს ყველგან,
ყოველს ადგილს, მინდორს მთებში;
ამას ვითხოვ მეცა შენგან—
მომალხინო ამ ბუჩქებში!...

1864 წელსა. ქ. ტფილისს.

დიმ. ბერიევი.

## ლექსები.

### *** ... ღმი.

ნუ თუ ტურფავ უძლიერეს უცებ გიწყობგერს გულმა?
ნუ თუ მართლა ყინულის მთა გარდაგიდნო სიყჳარულმა?
ნუ თუ ტანჯჳა სიყჳარულის უზრუნველმან იცან უკვე?
ნუ თუ ამა ტკბილმა გრძნობამ აღგიშფოთა სიჭაბუკე?
ტურფავ, მოთმენით მიიღე ესე ხარკი ბუნებისა,
ამაყ გულსა ნუ შეიღეწ, ისმინე ხმა გონებისა.
შენებრ ბევრსა უბრძოლია, სიყჳარულს არ მონებია,
დღით ღიმილი, ღამით ცრემლი—დამარცხებად ჰგონებია.
მაგრამ ვისაც ზეცის ალი უბოლს გულში დაფარულად,
იგი უმეტეს იტანჯვის, ხმება, ჭკნება, ზეზეულად.
ტურფავ, ესე ნეტარი დრო მეორეთ აღარ ბრუნდება,
სიცოცხლისა განთიადი ამის შემდეგ გვიბინდდება;
სითბოს ნაცვლად გულში ყინვა უგრძნობელად გვეპარების,
თჳალში ბრწყინვა, ლოყის ვარდნი მოულოდნელად გვაკ-
ლდების.
მათ მაგიერ გესლიანნს გულს სხჳა ნივთები გვემატება:
შური, ძრახვა და სიანჩხლე, სიჭორე და ბოროტება.
ამ დროს ამურიც გვიწყრება, სხჳასთან მიაქჳს მას ღიმილი;
ჩჳენდა გვრჩება ოხვრა, ნანვა, მოგონება და ჩივილი.—

გრიგ. რჩეულოვი.

## საქალო სასწავლებელი ტფილისში.

ყოვლის ქართველისათჳს, თუ სხუა ენის ხალხთათჳს უნდა სასიამოვნო იყოს, რომ ასე მრიელი ბიჯი გადადგა არათუ მარტო რუსეთში, თჳთ საქართველოშიაცკი — განათლებამ. ვინც მოსწრებია ამ ორმოცდა ათის, თუ სამოცის წლის წინათ, იმან ზედ მიწევნით იცის, რა მდგომარეობაში იყო სწავლა საქართველოში? პირველად რომ სწავლა დააფუძნა მთავრობამ ტფილისში, ამ სასწავლებელში იყო მხოლოდ ორი თუ სამი კლასი, საიდამაც რა გამოდიოდნენ, ისეთი უფლება ჰქონდათ, რომ ყოველს ალაგს სიამოვნებით მიიღებდნენ ხოლმე სამსახურში. მაგრამ ესა ვსთქუათ, მშობლები აძლევდნენ ამ სასწავლებელში

თავიანთ შვილებს? ყოველს ქართველს, თუ სომეხს, ერთის სიტყვით ყოველს ჯურა ხალხს საქართველოში მცხოვრებთ, ისე მიაჩნდათ მამინდელი სასწავლებელი, რომ თუ მისცემდნენ თავიანთ შვილებს , უნდა საუკუნოდ კელი აეღოთ იმათზედ, ისე ჩანერგილი იყო მამინდელს ხალხში რაღაც ნაირი მიზეზი უბედურებისა. მთავრობამ ამ შემთხვევაში გონიერულად მოიხმარა ღონისმიება, რომლითაც პირველ შემთხვევაში ისე მოიზიდა ხალხი, რომ დაუწყეს მშობლებმა თავიანთ შვილებს მიცემა სასწავლებელში,- სასულიეროდ გამოაცხადეს, ვინც თავის შვილს მისცემდა სასწავლებელში, ის მიიღებდა ხაზინითაგან ოთხს თუ ხუთს მანეთს თვეში! შეუძლებელი იყო არ დაბადებულიყო ამის მიზეზით ხალხში სურვილი სწავლისა, თუმცა ზოგნი ურჩნი, მაინც კიდევ იძულებით აძლევდნენ თავიანთ შვილებს. მაგრამ რა არ შეუძლიან სწავლას და განათლებას. რამ-

დენიმე წლის შემდგომს ხალხი დარწმუნდა იმ კეთილს და სასარგებლო ნაყოფზედ, რომელიცა იბადებოდა სწავლითგან და მო-ლოდს ისე გაუშვებდა, რომ არა თუ ყრ-იდებდენ მერიქით კიდევაც აძლევდნენ რი-გიანს ფას, ოღონდაცკი მოეპოვებინათ რი-გიანი მასწავლებელი, რომელსაცა ესწავ-ლებინა ის საგნები, რასაც არ ასწავლი-დნენ მთავრობითგან დაწესებულს სკოლებში. მას აქეთ სულ ესთქმით თუ არის სამოცი წე-ლიწადი. რა არის სამოცი წელიწადი კა-ცობრიობის ბიჯის გადადგმისათჳს. ისტო-რიაში ეს დრო ითვლება ერთ წამად მთე-ლი დროთ და ამ მოკლეს დროში სწავლა და განათლება ისეთს სიმაღლეზედ არის ასული ჩვენს სახელმწიფოში, რომ იგვა-ვიან უცხო თემის ნათესავნი, ისე ადგანს ქოველი კუთხი ხალხი სწავლას, რომ ვე-ლარცკი მოეგონებინა სხვაგა ასეთ შეხა-ფარებელი. ბედივარიც და ეკლესიც მა-

კალიუ და მდაბალიცა, ყველა ეტანებიან იმ ნაყოფს, რომლითგანაც წარმოდგება გაცობრიობის სიმდიდრე. სამოცის წლის წინათ ყოფილა ტფილისში ერთი სახელმწიფო სსოლა, ახლა არის თჳთქმის თხუთმეტამდინ, კერძოობით სსოლებს გარდა, და ეს სსოლებიც ვერ ადიან იმდენი მსურველნი არიან ჴსწავლისა. ასობით არიან კანდიდატები ქალებისათჳს ვაჟები პანსიონებში მისაღებად. მოუთმენლივ მოელიან მშობლები და გაიხსნა თუ არა ერთი ვაკანსია, ამ ერთს ვაკანსიას ორმოცი და სამოცი ჰყავს მაყურებელი. კლასებში აღარ არის ადგილი, სადაცა შეიძლებოდეს დაწესებულის რიცხვზედ მეტის მოთავსება. მთავრობა ცდილობს ყოვლის ღონის-ძიებით, მოუმატოს სასწავლებლები. ამ მიზეზით, ჩუენ მოვკარით ყური, რომ აპირებენ მეორე გიმნაზიის გახსნას, კიდევ გვესმის სხჳა და სხჳა სსოლების მომატება, — და ამაზედ მეტი სასია-

მოვნო რაღა იქნება, რომ ჩუენი ქალებიც შეუდგნენ განათლების გზას. ინსტიტუტის და ზავედენიის გარდა კერძოობითს პანსიონებს არ შევეხებით, ახლა გაიხსნა გიდევ მთავრობის განკარგულებით ქალებისათჳს სახალხოდ, სასწავლებელი. ამაზედ მეტი კეთილი რა იქნება, რომ ამ სასწავლებელში შეუძლიან აღიზარდოს ქალი, მდაბალის და მაღალის წოდებისაცა: მდიდარისაც და გლახაკისაცა. ცისკრის რედაქციამ საჭიროთ დაინახა აცნობოს თავის მკითხველებს ეს ახალი ანბავი: ეს იმ გვარი ახალი ანბავი, რომელიც არის კეთილი და დიდი სასარგებლო კაცობრიობისათჳს. ამ ამბავს უნდა დავრთოთ წესდებულებაცა ამ ქალების სასწავლებელისა; აი, ის წესდებულება, რომელსაცა ვბეჭდავთ სიტყვითი სიტყვად:

თავი I.

1. ტფილისის საქალო სასწავლებელი იმართება იმ აზრით, რომ ეძლევს ქალაქში მცხოვრებს, რა წოდებისაც უნდა იყოს, შეეძლოს თავის ქალის რიგიანად აღზრდა და განათლების მიღება, ასე რომ, ქალი არც ერთს საქმეს მოაკლდებოდეს.

2. საქალო სასწავლებელი, არის უმთავრესის ინსპექტორის გამგეობის მხარეზედ სასწავლებლებისა უწყებისა ქვეშ. და სასწავლებლის მფარველი ბძანდება მ ი ს უ მ ა ღ ლ ე ს ო ბ ა, დიდი მთავრინა ოლღა თეოდორეს ასული.

3. სასწავლებელი არსებობს იმ ხარჯით, რომელიც, დანიშნულია მ ი ს ი ი მ პ ე რ ა ტ ო რ ე ბ ი ს უ მ ა ღ ლ ე ს ო ბ ი ს დიდი მთავრინა ოლღა თეოდორეს ასულისაგან და გურმოლობითბირთაგან შეწირულის ფულითაასას გარდა, თუ საჭიროა არ იქნა ეს დანიშნულება, თუთ დიდი მთავარი გამგეობის ნაკლის შეასრულებს დანიშ-მთავარს იმ ფული-თვან, რომელიც არის გამგეობის ნამესტნიკის განკარგულებას ქვეშე.

4, ქალების სასწავლებლის მართველად დაწესდება საბჭე [illegible] რჩევა. ამ რჩევას შეადგენენ, ქალების სასწავლებლის მზრუნველი ქალი, რომელსაც დანიშნავს დიდი მთავრინისაგან, და რომელსაც გამგეობის ნამე-[illegible] [illegible] გამგეობის [illegible] სასწავლებლე-[illegible] [illegible] [illegible]

**5**, მზრუნველს ქალს უწირავს ყველაზედ პირველი ად-გილი ამ რჩევაში, მხოლოდ საქმის მოქმედება გადაედ აძლევს უპირატესს სასწავლებლების ინსპეკტორსა.

**6**, რომელიცა წელიწადში ოცდა ათ თუმანზედ ნაკლებ ფულს არ შესწირავს, ის მეითვლება ამ რჩევაში მწევრად და ყოველს რჩევის შეკრებაში უნდა მიუწოდებდნენ იმა-საც.

**7**, ამ მზრუნველობის რჩევის უფლება და ვალდებულ-ება არის შემდგომი: ა, ღონისძიების მოპოვება, თუ როგორ შეიმაგრონ სასწავლებელი; ბ, სწავლის წესის დამტკიცება, სწავლის საგნების დაწესება კლასებში; გ, შესავალ-გასავლის ფულების ანგარიში; დ, განონების დამტკიცება, მინავსნის წერილებისა და განონები მსახურ-თათვის; ე, მასწავლებლების ფულის განსაზღვრა; ვ, და-თხოვნა მოსწავლე ქალისა ფულის შეტანისაგან; ზ, მდგმ-რეელობის და შემწეობის მიცემა იმ ქალისა, რომელიცა ქსწავლობს უფრო და [illegible] [illegible]ით და ჲ, თვალ-ყურის გდება, რა სახით ასწავლიან და განავითარებ-დნენ კეთილზნეობით.

**8**, საქალთ სასწავლებლის დირექტორები აწარმოებს სამზრუნველო რჩევის საქმეებსა.

**9**, სამზრუნველო რჩევის განაჩენი, წარიდგინება და-სამტკიცებლად დიდ მთავრობასთან.

**10**, სამზრუნველო რჩევის კრება არის ყოველის თვის დასაწყისში; და თუ საჭიროება მოითხოვს, ისე დღითაც.

**11**, მზრუნველი ქალი, როგორც სასწავლებლის მე-უფროსე, თვალ-ყურს ადევნებს ქალების კეთილზნეობას

მოქმედებსა; ხოლო სწავლას რაც შეეხება, ეს უპირატესის ინსპექტორის ვალია.

**12**, სასწავლებლის განმგებლობა, მინდობილია დირექტორზედ, რომელიცა დაინიშნება კავკასიის ნამესტნიკისაგან სამზრუნველო რჩევის წარდგენით. ის ამოირჩევა უპირატესის ინსპექტორისაგან, იმ პირთაგან, რომელსაცა უმსახურნია სასწავლებლის უწყებაში და, რომელსაცა შესრულებული აქუს კურსი მაღალს სასწავლებელში.

**13**, დირექტორი მოვალეა ასწავლოს ერთ ერთისაგანი, რომელსაცა თჳთან გამოირჩევს; ამას გარდა იმის ხელშია, რაც რამ საჭირო არის კლასებისათჳს, მხოლოდ იმ ფულის სამზღვარს არ უნდა გადასცილდეს, რაც შტატით არის დაწესებული. თუ იმდენი ფული არ გახდა, მაშინ აცნობებს სამზრუნველო რჩევას.

**14**, ქალის სასწავლებელში არიან: უპირატესი ზედამხედავი, მასწავლებლები და იმათი თანაშემწენი. ესენი არიან სულ ქალებთაგანი.

**15**, უპირატესი ზედამხედავი ქალი არის თანაშემწევე დირექტორისა; ეს ზედამხედავი ამოირჩევა მზრუნველი ქალისაგან და დამტკიცდება მთვარველისაგან. მასწავლებელი ქალები და იმათნი თანაშემწე ქალები ამოირჩევიან დირექტორისაგან, უპირატესის ზედამხედავის თანარჩევით და დამტკიცდება მზრუნველის ქალისაგან. მასწავლებლებს მოიწვევს დირექტორი დაწესებულის ფასით.

**16**, ქალის სასწავლებელში არიან: სასწავლებლის რჩევა, სადაცა თავმჯდომარედ პირველი ადგილი უჭირავს დირექტორს, ხოლო მწევრნი არიან: უპირატესი ზედამხედველი, მასწა-

ვლებლები და მასწავლებელი ქალები.

**17**, სასწავლებელის მზრუნველს ქალს აქჳს უფლება დაესწრას ამ რჩევაში თუ სურს, და დაიჭერს პირველს ადგილს.

**18** ერთ ერთი მასწავლებელთაგანი, ამ რჩევის სეკრეტრის თანამდებობას აღსრულებს.

**19**, ეს რჩევა არის ყოველის თვის დამდეგს და თუ საჭირო იქნა, დირეკტორს შეუძლიან დანიშნოს როცა სურსთ.

**20**, საგანი ამ რჩევისა არის შემდგომი: ა, დროს განსაზღვრა ჰსწავლისათჳს; ბ, წესი ჰსწავლისა; გ, ეგზამენოების დანიშვნა; დ, მოსწავლე ქალების დათხოვნა და მიღება; ერთის კლასიდგან მეორეში გადაყვანა, და ატესტატის მიცემა; ე, საჩუქრის მიცემა.

**21**, არზა მიეცემა დირეკტორს, ქალის მისაღებად.

**22**, არზასთან უნდა წარადგინონ: მეტრიკის მოწმობა, ყვავილის აჭრის მოწმობა და პირობის წერილი, რომ თავის დროზედ ფული შეიტანონ მშობლებმა, ორის პირის თავდებობით.

**23**, ქალის მიღება დაინიშნება ყოველს ჰსწავლის დამდეგს და თუ ეგზამენიას დაიჭერს ქალი, მაშინ ყოველთჳს შეიძლება მიღება.

**24**, პირველს კლასში მიიღება რვა წლის ქალი; და თუ მთავრობამ შენიშნა, რომ ქალსა აქჳს ჰსწავლის ნიჭი, მაშინ შჳდი წლისაც შეიძლება. თუ პირველ კლასში მისაღებია, საჭირო არ არის იცოდეს რამ და თუ მეორე, თუ მესამეში სურს მიცემა, მაშინ უნდა ეგზამენია და-

ჭიროს ქალმა. მაგრამ ისეკი უნდა იქნეს, რომ თვრამეტის წლისაზედ მეტს არ გადასცილდეს, კურსი რომ შეასრულოს.

## თავი 2.

### სწავლის ნაწილი.

**25**, იმდენი სწავლა და განათლება რომ მიეცეს ქალსა, რაც საჭირო არის იმათის შინაურის საჭიროებისათვის, კურსი განიყოფება სამს ნაწილად; **1**, ელემენტარულად, **2**, საზოგადოდ განათლებად და **3**, სპეციალურად. ამას გარდა სწავლის საგნების მიღება არის დავალებითი და ნებაყოფილობითი.

**26**, სპეციალური კურსი მაშინ გაიხსნება, როდესაც ათ მოსწავლეზედ ნაკლები არ იქნება.

**27**, ელემენტარული კურსი არის ორის წლის განმავლობაში, ამ ვადის დროს უნდა ისწავლებოდნენ შემდეგ: **1**, საღმრთო წერილისა: ლოცვები, მოკლე კატეხიზმოს და მოკლე ისტორიას ძველის და ახალის აღთქმისას; **2**, კითხვა და წერას რუსულს ენაზედ; **3**, კითხვა და წერას მოწაფის სამშობლოს ენაზედ; **4**, არითმეტიკის ოთხს მოქმედებას; **5**, მოკლედ უმთავრესი საგნების სწავლას, რასაც შეიძლება ქალის მოქმედება.

ნების ყოფილობითი საგნები არიან: ფრანცუზული და ნემეცური ენები, ტანცაობა და მუსიკა.

**28**, საზოგადოდ განათლების კურსი შეიცავს: **1**, საღმრთო წერილს: ვრცელს კატეხიზმოს, ვრცელს საღმრთო

ისტორიას ძველის და ახალის აღთქმისას, ლიტურგიას და ქრისტიანობრივის ტაძრის ისტორიას; 2, რუსულს ენას; სრულს გრამმატიკის კურს და სიტყვიერებისას; 3, საზოგადო და რუსეთის ისტორიას; 4, გეოგრაფიას საზოგადოს და რუსეთისათ; 5, არითმეტიკას და მატემატიკურ გაზომაზედ ცნობას; 6 არსებობის ცოდნას; 7, წერას; 8, ხატვას: 9, ქალის ხელსაქმე და 10, საეკლესიო გალობა.

სხოლიო: ქართულის, თუ სომხის ქალები ჰსწავლობენ თავიანთ სამშობლოს ენას უფასოთ.

29, ნება ყოფლობითი საგნები არიან: 1, ნემეცური და ფრანცუზული; 2, ქართული ენა; 3, სომხური; 4, თათრული; 5, ტანცაობა და მუზიკა.

სხოლიო: ნება ყოფლობითი საგნებს ასწავლიან სამზრუნველო რჩევის გადაწყვეტილების ფასით.

30, სპეციალურს კურსში [illegible] -ში უსწავლიათ იმის [illegible] ჰსწავლას და დიდაქტიკას.

31, ჰსწავლის კურსი იწყობა პირველის სეკტემბრიდგან და დაბოლოვდება პირველს ივნისს.

32, ყოველის წლის დამლევს დირექტორი შეადგენს ჰსწავლის პლანს, რომელსაცა წარადგენს სამზრუნველო რჩევის დასამტკიცებლად.

33, ელემენტარულს, ანუ პირველს კლასში ასწავლიან მასწავლებელი ქალები და იმათნი თანაშემწენი.

## თავი 3.

## სწავლის საეკონომიო ნაწილი.

**34.** ფული რომელიცა ეკუთვნის ქალების სასწავლებელს, შენახულია კავკაზიის სახაზინადროში.

**35.** კერძოობით პირთაგან შემოსული ფული, ანუ მოწაფეთაგან შემოტანილი სასწავლებლად, იმყოფება დირეკტორთან, რომლისაგან მიეცემათ კვიტანცია და ჩასაწერს წიგნში, შემდგომს წარუდგენს სამზრუნველო რჩევას და ეს რჩევას გარდასცემს სახაზინადროში.

**36.** სასწავლებლის ფასი შეიტანება პირველს იანვარს, პირველს მაის და პირველს სეკტემბერს.

**37.** თუ ფული ვადაზე არ შეიტანა მოწაფე ქალს დაითხოვენ.

**38.** შემოტანილის ფულის უკან დაბრუნება არასგზით არ შეიძლება.

**39.** ფულის შესავალ გასავალი და სყიდვა რისამე, დირეკტორის ხელშია, ამასვე დაენიშნება გადავკვეთილი ფასი მიწერ-მოწერისათვის.

**40.** ფულის ანგარიში უნდა წარუდგინოს ყოველს წელიწადს თხუთმეტს ფებერვლის უფრო ადრე სამზრუნველო რჩევას.

**41.** საზოგადო წლის ანგარიში, სასწავლებლის მდგომარეობაზედ, დირეკტორი წარუდგენს ყოველს კურსის დამდეგს სამზრუნველო რჩევას და ამას გარდა წაიკითხავს სახალხოდ აკტში, სადაცა შეუძლიან დაესწრნენ ყოველნი ფულის შემწირველნი.

**42.** რევიზიას მოახდენს სამზრუნველო რჩევა, როდესაც სურს.

## თავი 4.

უფლება ქალების სასწავლებლისა და მასში მოსამსახურეთა:

**43**, ტფილისის ქალების სასწავლებელი იმავე უფლებით არის, რა უფლებითაც დაწესებულნი არიან მრთელს იმპერიაში პირველის ხარისხის ქალების სასწავლებლები.

**44**, დირეკტორი ქალების სასწავლებელისა, სამსახურით, თუ მუნდრით, თუ კლასით უდრის გიმნაზიის დირეკტორებს.

**45**, მასწავლებლების უფლება თუ უპირატესის ზედა მხედველებისა, თუ რომ სახელმწიფო სამსახურში არ იმყოფებიან, ეთანასწორება იმ უფლებას, რომლითაც არიან შინაური მასწავლებლები.

**46**, სამზრუნველო სასწავლებლის მწევრნი, მინამ ირიცხებიან მწევრად, ატარებენ მერვე კლასის მუნდირს; თუ სხჳა თანამდებობის მუნდირით დიდნი არ არიან,

**47**, ქალი, რომელიცა შეასრულებს კურს, უფლება აქჳს შინაურის მასწავლებლისა. იმ კურსის შემსრულებელთ ქალებს მიეცემათ ატტესტატი, რომელზედაც ჴელს მოაწერს მ ი ს ი  ი მ პ ე რ ა ტ ო რ ე ბ ი თ ი  უ მ ა ღ ლ ე ს ო ბ ა დიდი მთავრინა, — ამას გარდა მოაწერენ ჴელს ყოველნი სამზრუნველო რჩევის მწევრნი.

**48**, რომელნიც ამ სასწავლებელში ასწავლიან, იმათი ქალები მიიღებიან ამ სასწავლებელში უფასოთ.

**49**, ვინცა მოსამსახურეთაგანი ღირსი იქნება ჯილდოს მიცემისა, სამზრუნველო რჩევა წარუდგენს გავაზი-

ის ნამუსტნიკს, უპირატესის ინსპეკტორის თანაშემწე.

---

ამ პროეკტს უნდა დავმატოთ ესეც, რომ ეს პირველის ხარისხის ქალების სასწავლებელი გაიხსნება ამ **1865** წლის პირველის აპრილითგან. პირველს წელიწადს მიიღებიან ქალები მხოლოდ პირველს და მეორეს კლასში. რომელნიცა დღისით დაიარებიან წმ. ნინოს ზავედენიაში თავიანთის ფასით, იმათ მშობელთ შეუძლიანთ გადმოიყვანონ ამ ახლად გახსნილს ქალების სასწავლებელში მხოლოდ პირველს აპრილამდის, უნდა მისცენ არზა დირეკტორს და თან წარმოადგინონ დოკუმენტები. დაწვრილებით ცნობის მიღება შეიძლება ამ საგანზედ, დირეკტორისას, წმ. ნინოს ზავედენიაში: თერთმეტის საათიდგან თორმეტამდის. ტფილისის საქალო სასწავლებელი იმყოფება გუგიას, ისროლოვის სახლებში.—

---

# განხილვა.

(უძღვნი გვალად მას, ვისთჳსაც მიძღვნია — დ. ხ.)

«მოყვარეს პირ-წინ უძრახვენ, მტერს პირს უკანაო.»
ქართული ანდაზა ამბობს.

## უფალო რედაქტორო!

სწორეთ მოგახსენოთ, თქვენი ეგ თანამდებობა დიდი პასუხის საგებელი და საყვედრელი რამ საქმე არის. — რა ქნას კაცმა მაგისთანა თანამდებობაში, რომელ ერთს გაუწყრეს, რომელ-ერთს გაუძლოს, რომელ-ერთს ასიამოვნოს! სურს კაცს პატივის-ცეს მკითხველთაცა და თანამშრომელთაცა, მაგრამ ხშირად უფრო მოხდება ხოლმე, რომ თუ ერთს იმათგანს მოიმადლიერებს, მაშინვე მეორეს მოიმდურებს; თუ ორივეს მართალს და ჭეშმარიტს პირ და პირ ეტყვის, ის უფრო ხათაბალაა, მაშინ ორსავე მხ-

რივ ხელცარიელი დარჩება და კუტი ნაცარში ჩავარდება. ბედსა და იღბალს უხვედრება იმისთანა სნეულება ჩჳე-ნი საზოგადოებისათჳს, მაგრა ეტყობაკი, ღჳთის მად-ლით, ცოტ-ცოტათკი როგორღაც გარეთ გამოდის მუ-წუკებათ და თან გამოაქჳს სულ რაცკი რამ ზადი არის მთელ ტანში; თითქმის არის იმედი, რომ სულ განიკუ-რნოს?.. მაგრამ, ვაჲ თქჳენს მტერს, როდისღა და სად-ღა! ოჰ, მართლა, იმას ვამბობდი, თქჳენი თანამდებობის კაცი ხშირად ორ წყალ შუა რჩება მეთქი, ჩემის ფიქრით დიდი მოხერხება და აზრი უნდა, რომ კაცმა ამისთანა მდგომარეობაში არც მწვადი დასწოს და არც შამფური. რაღა ბევრი გავაჭიანურო კურდღელსავით და თავი შე-გაწყინოთ, სჯობს ჩქარა გაგიცხადოთ ჩემი სევდა, მი-ზეზი ამ წერილისა, და თქჳენც მონაწილე გამხადოთ ჩემის სევდისა, ღმერთმა ხომ იცის, რომ, აბა რა ჩემი საქმე იყო კალმის ხელში აღება, ან რა მრჯოდა ბუნბერა-ზობას სალიტერატურო ასპარეზზედ, თუ ერთი რამ მი-ზეზი არ გამამტყვრალიყო, უჩემოთაც ბევრნი არიან, ღმერთმაკი ამრავლოს;—მაგრამ იმითი აღორძინება თქ-ჳენი ტვირთი და ზარალია, როგორც რედაკტორისა,— იმით ყოვლად დიდებულის თხზულებაების, გადაკითხვა რასაკვირველია ქელში კალმით, და ბეჭჳდა ხუმრობა არ არის, მეტადრე იმით სტატიების წამკითხველების საყვე-დურითვას, მე მგონია ვეღარ ამოდიხართ, მაგრამ უნდა გაუძლოთ მეტი რა ილაჯია, რაღა გაუწყობა, თქჳენი მოწამებრივი ღვაწლი იმედი არის არ დარჩეს უნაყოფო და დაუფასებელი შემდგომში, ღმერთი, რჯული, არც მე

შევიწყნარდი თავსა და არც თქვენ გაგრძელდით; —ჯაფასზედ ჯაფას არ მოგიმატებდით, თუ მარტო მე მსურებიყო თქვენთან გამოლაპარაკება. მე გავსრულებ და წამოვსთქვამ რამდენიმე მართლისმთქმელის პირების თხოვნასა, სურვილსა და აზრსა, რომელიც არის შემდეგში:

ამ ორიოდე დღის წინათ მივედი რაღაც საქმეზედ ერთი ჩემი მეგობრის სახლში, ვნახე, რომ ის იყო ამ დღეს მიეღო 1863 წლის იანვრის «ცისკარი» მაგრამ ჯერ არ მოესწრო წაეკითხა, რა საჩქაროთ წამოვავლე ხელი ამ მეცხრე წლის ჟურნალის პირველ წიგნს და ეგრეზედ მოუთმენლად ჩავუგდე თვალი, პირველ ფურცელზედ სულ ნაცნობი ჩვენი ხალხი შემხვდა, რასაკვირველია პირველათ უ. დალეი-ეგოლონგ.ოსვილ ბიძის მოგზაურების ფრანცუზულის რომანის თარგმანებით,—ბოლოს მოუფლიერეს გვესმა, მე მგონია, ეს სახელი უფრო შეეფერებოდეს რაღაცასაც ეს მეორე. თუ მესამე წლიდანვე რაც ტეგუერეღეოლოთ ოქერის, თავისი ნაწერის, თარგმნის მესამეს ნაწილს ხომ მაინც ცისკრის ნუ რეგზით. მე მგონია ამაოდ ეზიურის ურიასა თარგმანების სარ გ...ლოის ჭირვეულე ენაზედ. არც სასტალონის თარგმანება ღირსეულია,—არა იყოს, არამედ მესახებ ჩვენის ლარიბის ლიტერატურისა, საზოგადოებისა, ცისკრის მნიშვნელობისა და ენისა, რომელითაც ითარგმნება, მაგრამ ამას თავი დავანებოთ, თუ ნებას გვიბოძებთ გვაქვს განზრახვა ამაზედაც ცალკე გამოველაპარაკოთ თქვენა უ. რედაქტორო, თქვენის ცისკრის მკითხველებით.... ეს ბევრი არაფერი, გადმოვაბრუნე მეორე, ეგრეზედ ვნახე ცალკედამ შესაპირო ერთი სამადლისე გვარის

ავტორსა, სწორე მოგახსენოთ, ცოტა არ იყოს წელში გავიმალე, ვსთქვი ეს ხუმრობას აღარა გავს მეთქი და ეს უანბო არ არის, რომ ამ უცხო ახალი ავტორის სტატია ესე გაუცალკევებიათ, უეჭველი ერთი რამე უნდა იყოს აქ მეთქი, და ეს ცხადის სტატიაში რა იქნება:—ან სიბრძნე სოლომონისა, ან სიბრძნე საცრუკისა, რასაკვირველია ისე როგორც გავკადნიერებოდი, რომ ეს უკანასკნელი თვისება მიმეწერა უ. მხარგრძელის სტატიისათვის; მაგრამ უნდა სულქვეშა ვთქო, რომ პირველშივე ეჭვი მქონიდა;—მართლაც ახლა!... ამ აზრებმა დამძლიეს და ვინც თავი სტატიიდგან დაიწყებს წიგნის კითხვას მე ბოლოდამ ცისკრის სტატიიდგან დავიწყე კითხვა: წავიკითხე ბოლოდამმდინ, მაგრამ ღმერთმა ის დახინაო მოვცდე, რაც მე ჭკურის თვალი ვიხილე მაშინ; პირველადვე უპირატესის გენიოზის სახელმა ისე მომატყუა და ანდამანტივით მიმიზიდა თავის გასაცნობად, რომ არც გავცდე, არც გავეწყე, ავიღე და წავიკითხე, მაგრამ სიბრალულისა და სინანულის მეტი შემდგომ არა დამრჩარა, სული თავ ბედი გაწყევლე... არ ვიცი რა მაანჩხლებდა? მე რა დავი მქონდა ამიტომ უფრო რომ ამ სტატიის ავტორს ნდომებია უთუოთ პირველ უპირატესის გენიოზის სახელთან თავისიც მიეწერა და ისე გამოსულა სალიტერატურო ასპარეზზედ, ისკი აღარ მოუფიქრებია, რომ ულონო რაც უფრო დონიერს და ძლიერს შეეჭიდება უმეტესად უფრო უძლური გამოჩნდება. მაგრამ ვის რა დავა აქვს, კაცის ხუცესი უყვარს, კაცის ხუცის ცოლი. მართლაც მოგახსენოთ, სამღდლოს გვარსა და სახელს ღირსეული უფლება აქვს.

შექსპირის სახელის ქვეშ ეწეროს. არ მახსოვს რომელ წლისა და რომელში—მაგრამ ესეც ვიცი, რომ დიდი ხანი არ არის, ცისკარში წავიკითხეთ ლიურმე შექსპირისა, უ. მთარგმნელის სტატიას (იმედი გვაქვს, რომ უ. მთარგმნელი არ განგვირისხდება, რომ ესე თავისუფლად მოვლეთა ვსწერით იმის ყოველად გრძელ გვარსა და სახელსა, რა ექნათ ეკონომიური ანგარიში არის ამაში დამნაშავეა როგორც: მეტი მელანი, მეტი ქაღალდი, მეტი ბეჭედი, მეტი კალი მოუნდება და მეტი დრო წავა, სულ ესენა არ არიან ადვილი საშოვარნი, მეტადრე ჩვენთვის, ჩვენ დროში, როდესაც სხვანი მუქათ აღარა შეუმაობენ ჩვენთვის....) რომ დავხედეთ ვიფიქრეთ, რადგანაც ამ წინაზედ ერთმა უ. მთარგმნელის მაგვარმა ლიტერატორმა გაგვაცნო შექსპირის სიყრმესთანაო, უთუოთ ამ ახალბედა სტუმარ ლიტერატორსა უკისრნია მძიმე ტვირთი, რომ გაგვაცნოს, სიყრმის შემდეგ სხვა შექსპირის ასაკებსთანაო ე. ი. ან მის სიჭაბუკესთანაო, ან როდესაც ის დაზარებული კაცი იყოვო, და ან მის სიბერესთანაო—თქვენი რისხვა არა მაქვს, არც ერთხელ კალამში არ გაუვრია მელნით, მხოლოდ ერთი ორი სიტყვით მთელი შექსპირის ცხოვრება გამოუხატნია,—მე ამ ავტორს სტუმარს ვეძახი, იმიტომ კეთილმდევლობით, მღვთის მადლით, აღარც თვითონ ეკადრის იმისთანა თავგაწირული ღვაწლი და აღარც ინებოს თავის შეწევნა ცისკრის მკითხველთა, მგონია ეს სტატია იყოს ანი და ჰ-ე, ე. ი. პირველი და უკანასკნელი—კატამ ჭამა მეხვიო, ამოიგდეთა ფეხიო.—უ. მთარგმნელი პირდაპირ განარჩევს ანუ აღ-

წერას შექსპირზედ (როგორც ის ანბობს) დასძაგერების, მერე ნეტავი მეორე ხარისხის შექსპირის თხზულებაჲს მაინც შეჰკბიოდო! აბა! —მარჩვა არ უწამია დოსითევისა, არც ქურდობა უქნია ხბოსთჳნა, ის წყალ გაღმა მოსწყვი-დებია იმ ფიქრით, რომ წყალ გამოღმა მაინც დაჰრჩე-ბაო, იმასვი რა აფიქრებიანებდა, რომ რახან იარ კურდ-ღლებს გამოუდგებოდა, ეროსაც ვეღარ დაიჭერდა... ჩემი ფიქრით ჯერ უნდა იყოს თჳალწინ საგანი გასარჩევისა, ანუ აღწერისა, მერე გარჩევა იმ საგნისა, ყველა ხალხის ლიტერატურებში ასე არის; —თხუზულებები უოკველთჳს უძღვიან კრიტიკას. ეს აუცილებელი გზაჲ და რჯული არის ლიტერატურობაში. ჯერ ჩვენს საზოგადოებას ერთი უგანასვენელი თხზულებაც არ წაუკითხავს თავის სამ-შობლო ენაზედ და ერთბამათ იმის მიერვე თხზულება-ების გარჩევას ითხოულობს, ბატონებო, უთხარ ქართ-ველებო! ნუღარ წუწუნებთ, მეტი მეტს აბრალებას თავ-ზე დაასხით, ჩვენში რა ლიტერატორები გვყავიან? გონია რომ თვალზედ ცრემლები მოგადგება და!... ჩვენ მეტი ადარა გვითქმისრა, მადლობა ღმერთსა გვსიხარულით, რათა მან განაძლიეროს უ. მსარგებლის ღვაწლი, უფრო დაუღალავს მხრები, რომ იმისმა მაგამ იმისთანა მრავ-მა გვღვაწლ შეუწყობს ჩვენთა მამულიშვილთა ლი-ტერატურის საკუთრეობისაზედ! მართლიაკი არ ასრულდეს მას! უოველადვე ნუ იქნები! ჩვენ სულ ქველ რომ ვსიო-ქით, ქრისტეაზე საზოგადოების ლიტის ნაწილს ვსდავის წი-ნა უ. მსარგებლის მოწყალეობით, ღმერთმა უშველოს, მა-დიან რამ ეხლი გამოვიცხადეთ წინამძღურავ! უოველივე

მსოფლიო ზრუნვა დაგვატევებინა და შექსპირის გენიო-სური პოეზიის განხილვით დაგვატკბო, ერთი სიტყვით ძალიან მაღლა ასწია. მაგრამ ერთი ფიქრი გვაშინებს: ვაჲ თუ მაღლა ყურებით, როგორც ერთ ზღაპარში, ვარსკვლავთ მრიცხველს მოსვლია,—ჩვენ წინ რაც არის ისიც ველარ დავინახოთ და ხაროში ჩავცვივდეთ, ჩემი ფიქრითვე ეს უფრო შევუხედოთ ახლოს და სხვამ თავისი იცის, რასაკვირველია რა უფლება გვაქვს ავტორს უთხრათ: ეს რათ დასწერე და ეს რატო არა!... რაც დასწერა ჩვენ ის უნდა გავშინჯოთ და მადლობელნი ვიყვნეთ, ალბათ რაც უფრო იცოდა და რაც უნდოდა ის დასწერა, მაგრამ ეს მგონიმეს ჩვენ საზოგადოებაზედ შორს არის, ამი-ტომ უნდა ჩვენ მკითხველთაგან პატივი ვითხოვოთ რომ უ. მთარგმნელი თავის ყოველად მეცნიერებასთან და მა-ღალ მჭევრ მეტყველობასთან, რომელსაც ჩვენისთანა უბრალო ქართველი კაცი მჯადოდ მიხვდება იმის უღრმეს ჭაზრს და იმის უსწორო-მასწორო უმსგავსო რუსულ-ქარ-თულს ენას (თუ ესე შეიძლება ითქმა) როგორც გვებაასუხება უ. მთარგმნელი—ვამბობ თავის ყოველად მეცნიერებასთან ჩვენ-ნი უმეტესობა უნდა ჰქონდეს სახეში, თუ ჩვენი საზო-გადოების მომართულებისათვის და საჭიროებისათვის ყურს არ იბერტყავს, მაშ დაბძანდეს სახლში, ჩაიკეტოს კარე-ბი და იმდენი იკითხოს და სწეროს თავისთვის სანამ მოწყენილობამდის... თუ არა და, თუ მეოცხებს უნდა ფეხ-ხის დასვლელობასაც არ უნდა ნაჯიმობდეს; ნათქვამია, ნუ შეჰკვრავ ნუ ებანები, ნუ გამოჰკვავ, ნუ თვითონ!... ყმა-წვილს თუ ელექსანდრაკები შენც იმისავით უნდა იტიკტიკო;

თუ ჩვენში სწავლა და წარმატება უნდა, ჯერ გვითავა-ზოს ის, რის მიღებაც შეგვიძლიან, ჯერ მოგვცეს პური არსობისა, მერე უჯერესიცა... ჟურნალი ასეთი კი რამე არ არის, რომ ვისაც რა მოუნდეს ქეიფში ყველა ჩას-წეროს; მეტადრე ჩვენა, სადაც გვაქვს ორი ჟურნალი; ერთი საერო ანუ სამოქალაქო, მეორე სასულიერო, მა-შასადამე, უნდა ვეცადნეთ იმათში ის მოვაქციოთ, რაც უფრო უებარი წამალია ჩვენი საზოგადოებისა, სულიერი თუ ხორციელი ხიჩჯის განკურნებისა. აბა, თქვენ არ მომიკვდეთ, ეს ვიდას ახსოვს, ჟურნალის ამ ნაირს და-ნიშნულებას ივიწყებენ ზოგი ერთნი ჩვენნი დაუპატიჟე-ბელნი ანუ თავისით წოდებულნი — ლიტერატორნი (თუ ღირსნი არიან ამ სახელისა) და თავს აბეზრებენ კაცსა თავის თხზულებებითა, თითომ იმით აცხადებს სამშობ-ლოს მოყვარეობის გრძნობათ, ისგი არა თუ, იმათ ჭაზ-რათა აქვსთ ვითომც აცნობონ საზოგადოებას რომ ისე-ნიც ქვეყანაზედ ცხოვრობდენ!! ვინც წიგნის მიწერას და გრძნობის გაცხადებას მოისურვებს ვისთანმე, ჟურნალია იმის ფოშტა, — ცისკრით გამოეხმაურება, მეორე იქიდგან მადლობით პასუხს მოსცემს; — ზოგი მამას მიუძღვნის, ზო-გი დედას, ზოგი ძმას, ზოგი მეგობარს, ზოგი დას! (აი დასწყევლოს ღმერთმა, აგა მეც სულმა წამძლია! და უძღვენი, მაგრამ არ შევცდი, ის ხომ უცხო არ არის, — მე და ის ერთი სახელისა და ხორცისანი ვართ, ერთარსებას შევსა-დგენთ.) საზოგადოებაკი ვისღა ახსოვს, — ერთი უბრალო სტრიქონით თავის ოჯახსაც აცნობებს, მრავალთ ქართველთა და ვისაც უძღვნის იმასაც? ეს ბევრსა ნიშნავს, მეტადრე

თავ მომწონე ახალგასდა ავტორისათვის, რომლებსაც მწუგანე კრიტიკებისავით თავები მოაქვთ, რასაკვირველია ხშირათ ხნიანებიცკი არ არიან თავისუფალნი იმისთანა ცდოლებისგან,—მაგრამ მეკი მგონია რომ, უ. მკარგრძელი ყველაზედ უმეტესად თანა ზიარის ხუმოისტენიულის ლიტერატორების ჯაზრში. ახლა ჩვენ წარმოვიდგინოთ ამ დროს რედაკტორის მდგომარეობა, სუმბრობა გამკვრით, ამ შემთხვევაში მოწამე არის, ორ წყალშიც რჩება, როგორც ზემოთაც ვსთქვით, უარი უთხრას დაბეჭდვაზედ, ცხვირს დაუშვებენ და ყვიტ-ყვიტს დაიწყებენ,—როგორ გაბედაო, დამაცადოს თუ ხელის მომწერნი არ გაუნახევრო და მრავალი უთვალავს ამისთანებს დაროშამს თავიანთ ღვარძლიანი პირითა და ენითა... რა ჰქნას ამ შემთხვევაში? რედაკტორიც ისეთი კაცია, როგორც სხვანი ყველანი. ჭამა, სმა, ცხოვრება, მისვლა-მოსვლა ისეთი უნდა, როგორც ერთსა და ორსა. რიგიან და მართებულ კაცს შეშვენის—მაგრამ ეს: სომ უნდა დაიბეჭდოს რამე ჟურნალში, რომ ხეირიანი არაფერი იქნება და არ გადრუელობს! მაშასადამე ბეჯაურების შემდეგ «კიდეიამ შეკსპირის განრჩევის ავტორთან ლიტერატორებსა რჩება ბურთი და მოედანი: ეს ცხადია, რომ ბრმებში ცალთვალი უფალია!... ამისთანა საბუთების შემდეგ რედაკტორიცა ადგება და შესწირავს რამდენიმე ფურცელს თავის ჟურნალში ისეთს თხზულებას, რომელიც სულ უკანასკნელი იმ ქაღალდათ არა ღირს რაზედაც იბეჭდება. მელანი და ასოების ამოწყობისა მოცდენა, ხომ რასაკვირველია სულ ცეტი და ფუჭი შრომაა...

ამ გვარ თხზულების გაკადნიერებით და მივართვით ჟურნალზედ პირდაპირ უ. მხარ. სტატიისაც... დაბეჭდვის შემდეგ ახლა მეორე ჭირი გამოუტყდება რედაქტორს, თავს გაუფრენა, გულს შეუფრენა, სულ ამ ცეცხლში იწვის, განა ამ, ჩვენ მკითხველნი, ახლა ჩვენ გიბრძანებით და ამა-ოდენ განმარხვით,» აი, ფულებს გვართმევსო და ვისაც ქარ-თული ენის სასწავლებლად, ან თარგმნის და ან თითონ თხზულებსო სულ იმისთანას ასაღებს ჩვენზედაო, კაცო, განა ჩვენცა ხალხნი არა ვართო, თავზედ ქუდი არ გვა-ხურავსო, ჯიბით გვკლავთ და როგორც ღმერთმა შეგვა-მლებინოს ისე ვაცნობოთ ჩვენი დარდი და ვარამი რე-დაქტორსაო, იქნება ღირსი გახადოს თავის ჟურნალში დაბეჭდვისაო, რომ უ. მხარგრძელის მგზავსმა დაუპატიჟე-ბელმა ლიტერატორმა წაიკითხოს და პატარა მაინც შეი-ტყოს, დაიხიოს უკანა, თუ სულ არ შესდგება, თავის მღვთით-მონიჭებულ მწერლობისაგანაო. აქედგან წარ-მოსდგება ორ ნაირი სარგებლობა, ვითარც თავიანთ ფუძე-ლად დიდებულს თავებს გახდიან საკითხავთ და ვითარც რედაქტორს ჩააგდებენ სხვის ყბაშიაო» ადგება მართლაც მოთმინებითგან გამოსული ჩემისთანა გმირი და მამაცი, განკადნიერდება და გაბედავს სალიტერატურო ასპარეზ-ზედ [illegible],—გააჭრელებს მაღალ მჭევრ მეტყ-ველობის ენით ეპისტოლეს რედაქტორთან მუდარით და ვედრებით მიიღოს მონაწილეობა და გადასცეს ქვეყა-ნას იმისი დარდი და ვარამი, მართლაც და ამ წერილს სწორეთ ეს მნიშვნელობა აქვს!...

ახლა უ. მხარგძელი იტყვის: «რას მიედ-მოედებს ეს

ვიღაც არისო, რამტელს ყმელობს, რას ბაქი-ბუქობსო, აქ რა დროს ქადაგება არისო, საქმით მითხრას, ხელი დამიდოს შეცთომილებაზედ, ასე უწყალოდ რაზედ სწყ-ლამს ჩემს შრომასაო, ამაში არა ტყუის, ნება აქვს ჩემ-გან ითხოვოს ეს, თუმცა ზიზღი მოგვდის როდესაც ვფიქრობთ რომ ერთი კიდევ უნდა მივხედოთ და თვა-ლი გარდავავლოთ ამ ყოვლად უმსგავსო სტატიის ნაკ-ლულევანების საჩვენებელად.

დღეს დილით, ჩემს ოთახში შემოვიდა ბიძა ჩემი, რო-გორც მოგეხსენებათ ჩვენი ძველი კეთილშობილი ხალხის ანბავი:—დავითნი, სამოციქულო, სახარება და ბარაველი-ტონი თხუთმეტ-თექვსმეტი წლისას გაუთავდება, ეხლავი მოუცილებლად აქვს ცხვირზედ სათვალე და ხელში და-უჯდომელი; ეფეხვის ტვალახანი თითქმის სულ ზეპირათ იცის და ცისკარსაც სწორე მოგახსენოთ ძალიან ეტანე-ბა და სუჯითათ კითხულობს, ეუბნება კიდეც ისე, რო-გორც ერთსა და ორსა ქართველს, რომელთაც სხვა ენები არ იციან თავის სამშობლო ენის მეტი.

—ეს ბიძა ჩემი შემოვიდა ჩემ ოთახში გახარებული, ხელში ცისკარით და უცებ შემომძახა: «იცი რა გახარო ჩემო ძმის წულო?

—რა მეთქი, მე უმასხუნ.

—რა და ისა, თქვენ ახლანდელი ყმაწვილები, რომ გაიძახით: «ენის სასწავლებს ველარ ვხედავთ, ველარსად!» აი ცისკარში «რა წავიკითხე, ისეთი არ ვიცი რა ვილის, რო-სულათ სწორის წერიწადი, თუმცა ერთი სადღაც მთელი ქვეყანა, რასაცვგი ეს მზის ოვალი ანათებს სულ ქვეყა-

ხელ-ზესვნელი ერთად შეერთდა, რა ვიცი და რისთვის; სამასი წელიწადი უქმად აუდვიათ, იმათში მარტო ერთი კაცის რაღაც ჯანაზური სახელი არის მოხსენებული, მე ვერ დავიხსომე,—ის უთუოდ მოთავე იქნებოდა! აჰ, ამაზედ რაღას იტყვით, ეხლაც არ მორჯულდებით?—ამ სიტყვებზედ მე სიცილით ვეღარ დავიჭირე და იმასკი ცოტა არ იყო ეწყინა: მოხუცებულის გული ხომ აზიზია, როგორც ყმაწვილისა, და გაჯავრებით მომაჩეჩა ხელში ამ წლის იანვრის ცისკარი წაიკითხე, თუ არა გჯერადა თითონვე ხელი დამიდო თავში, ჩათვალეო; მე წავიკითხე იმის გულისათვის ხელმოწერით: «წარსულს 1864 წელსა აპრილის 23-სა მთელი განათლებული ქრისტიანნა შეერთდა ერთად, რომ ექმნათ სამასი წლოვანი იუბილეი ვილიამ შექსპირისა». მართლა, რომ ბიძა ჩემს კიდევ კარგათ გამოუცვნია და!! აქ უფრო გაუგებლად არის, აბა, თქვენი ჭირიმე, აქ რა ქართული ენა და აზრი არის? «განათლებული ქრისტიანნა» ჯერ არ არის ჩვენ ენაზედ ისე, როგორც სხვა ენებზედ... შეიძლებოდა ამის მაგივრად ეხმარნა: «ნასწავლი მეცნიერი ანუ განათლებული ხალხი «შეერთდა ერთად,» რა ენა არის? გინდ გახიე გინდ გაფხრიწე, ეს არის მოუფიქრელი გამეორება ერთი და იგივესი; «ექმნათ» მაგივრად შეიძლებოდა, «ედღესასწაულნათ» სამასი წლოვანი იუბილეი, ხომ ისე არ უდგება ჩვენ ენას, როგორც წყალი ერბოს, ანუ ზეთი. უ. მთარგმნელი ბძანებს, რადგანაც მრავალთა თქვენს ბევრი რამეო შეგვპირზედ მეც მსურს ვსთქო რამოდენიმე სიტყვა იმაზედაო,—კუმ ფეხი გამოყოვო; ნათქომია; მეც

ნახირო-ნახირო!... უფალი მთარგმნელი ამბობს: «ჩუენც გა-
ვიხსენოთ შექსპირის პოეზია». უ. მთარგმნელო, ჩემის
ჰაზრით, იმათ გაიხსენებენ რაც ადრე იცოდა ხალხმა და
სხუა და სხუა გარემოების მიზეზებით დავიწყებას მიეცა,
ჩუენ, რომ გვქონია მაშასადამე, უფრო რიგის ვსთქოთ,
გავიცნოთ ანუ ვისწავლოთ შექსპირის პოეზია. ერთ
ღრმა წინასწარმეტყველებასა ბძანებს კიდევ მთარგმნელი:
«ჩუენშიაც მოვა ის დროება, როდესაც საშუალ განათ-
ლებულთ ხალხების გავრცელდება კითხვა და სწავლა».
ღმერთო დიდებულო! არ ვიცი, მარტო მე გამოვედი
ესე უმეცარი, რომ ამტელ სიტყვებში ერთი იოტის ტო-
ლას ჰაზრს ვერ ვხედავ, თუ სხუანიცა მყვანან ამხანაგები
ამ საქმეში?!... აი კიდევ როგორ გვაკვირვებს უ. მთარ-
გმნელი თავის მახვილ-გონიერებით და შორს მჭვრეტელო-
ბით, ის ამბობს;» რადგანაც ანგლიის კოროლევა ელი-
საბედი განსაკუთრებით მფარველობდა თეატრსა, იმი-
ტომ ერთი თავის ტრაგედიაში შექსპირიც გამოიყვანს
ამ ქალს და სცენაზედ მდგომარე პატარა ელისაბედზედ
ათქმევინებს იქ მყოფელთა: «უმაწვილში იმყოფება მთე-
ლი მომავალი ანგლიისა». მერე დაღად-ჭყოფს უ. მთარ-
გმნელი და იტყვის: «აი კეთილშობილება პოეტისა!!»
ხედავთ რაში იპოვნა კეთილშობილება! ბარაქალა მთარგმ-
ნელო! აბა ჩუენ. ცოდვილნი უმეცრები რას მივხვდებო-
დით მაგ ღრმა აზრს?! აქამდინ ჩუენ გვეგონა შექსპი-
რის ერთი რამ უბრალო ჰაზრი უფრო ღრმათა ხატავს
იმის კეთილ შობილებას, ცხოვრებას და უპირატეს მსო-
ფლიო გენიოსობასა, სადაც შექსპირი მტერს მოყვრობას

უშვრება, სინამ აქა, სადაც პოეტი, როგორც ყველა ეს-რალდი, მართებული და პატიოსანი კაცი მადლობის მად-ლობით უნდის! მაშ ბოდიში ვითხოვოთ ამდენ, ხან რომ შეცდენილებაში ვიყავით, როგორც ჩვენ ისე მრავალნი სხვანი და იმანცა თვალები აგვიხილა, გვაპატიე რადგა-ნაც ამ საქმეში ვერა ვხედავდით ისეთ კეთილშობილებას, რომ განსაკუთრებით შეკსპირის როგორც უპირატესის გენიოსის ძუხაფერი ულოცვილიყო! ამის ერთი იცავნ წიგნა შენი.... თქვენი რისხვა არა მაქვს თუ ეს კაცი ქართვე-ლის სული არა მოწმენდა, თუ ამას ქართული ნიშანწყალი აქვს რამე! მერე უწარჩინებულეს ტრაგედიის შემოსხვე-ლის უ. მთარგმნელი და ერთ ხამბა წარმოიდგინეს თქვენ შეუდგეთ მასთ ჯერ ერთი, რასან რაგვარზე ტრაგედი-ხედ ამზობით, მაშ უნდა იცოდეს, შეუდგეს მასთ ახლა რას მათ? რა უნდა გაავლოთ, რომ შეუდგეთ? შეუდგომა სა-მეგობრობითი ზმნა არის, ზმანება ახლა მოქმედებითი.—რა უნდა გაავლოთ რომ შეუდგეთ? აქ უნდა იყოს სიტყვა: შეუდგეთ მათგან გარჩევას, ან გარჩევას, ან აღწერას, რა ვიცი როგორა გსურთ, მერე ამბობს «ამ ჩემ აღ-წერაში შეკსპირზედა» ეს რა ენა არის? რომელი ქარ-თველი იტყვის ამას?! მე ვერ გამიგია ან რა წინადადებას აგიდიათ უ. მთარგმნელო თქვენს სტატიისათვის» შეკსპი-რზედ აღწერა» რა ჯანდა?! ან აქ რა ქართული ენა არის: იდეები მეუმგა შეკსპირმა თავის ტრაგედიაშიო»? მერე ამბობს: «ამ თავში განვიხილოთ ტრაგედიის კოროლი ლირი, შეუდგეთ მათ ა ამის პატრონი, ამ ენის მცო-დნე სწერს ქართულს ენაზედ. მერე რას? შეკსპირზედ.

განრყვნისა აგრეთ მე საცოდაო ქართულო ენავ! ვაი მე საბრალო ვილიამ შექსპირის სახელო, რომ ამისთანა მწერლები გეკიჯლინან! რადგანაც ეს სტატია უფრო თარგმანს ჰგავს, ამიტომ ურიგო არ იქნება ორიოდ სიტყვა ითქვას აქ თვით თარგმანების ხასიათზედაც. თარგმანებას აქვს ორი გვარი დანიშნულება; პირველი არის თარგმნა სიტყვა სიტყვაზედ. ეს იხმარება მაშინ, როდესაც გვსურს ზედ მიწყვნით და ნამდვილად გადავიტანოთ ხასიათი რომელიმე ენის მწერლობისა და ავტორის გამოხატვისა, ხოლო მეორე, უფრო საჭირო წიგნი ხალხისთვის, უფრო სამართლიანი და გასაგებიანი სწავლა-განათლებით ხალხისა.—არის თარგმნება როდესაც წიგნს არ გამოუდგებით სიტყვა სიტყვაზედ გადმოტანას ერთი ენიდგან მეორეზედ, მარტო გვსურს რომ სხვა ენი-ის აზრები, რომელნიც წარმოსთქვა ვინმე მწერალმა, რომელიმე უცხო ენაზედ. მაგ. თუ წიგნს ვთარგმნით ქართულად შექსპირს—უნდა ვეცადნეთ იმ ნაირად გამოვხატოთ იმის აზრები, როგორც ის თვით დასწერდა ქართულ ენაზედ, ქართველი რომ ყოფილიყო.—ახლა ისევ მივბრუნდეთ უ. მხარგრძელის სტატიას: «გარდავქცევართ ერთად» რა ენა არის?! «ან სასტიკი ბრიტანია» რა გამოხატვა არის?! «ის ძლიერი, მხნე და მემძლევრებელი» აქ ერთის და იმასვე არ იმეორებთ სხჳა და სხჳა სიტყვითა უ. მხარგრძელო, ერთი სიტყვის ალაგი სამ სიტყვას არ უჭერია? «ნიადაგი ბედი» რასა ჰქვიან! «სახლი ჰქვავა ქალებითა, ლამაზებითა,» რაო, ქალები სხჳანი არიან, და ლამაზები სხჳანი, თქვენ ჭკვაში, თუ როგორ? რუსუ-

ში ეგ ჰაზრი არ არის, რატომ კარგად არ დაკვირდით. იქნება გაეგოთ! რათ დაგვიზარათ? განა ჩჳენცა გვიხა-რიან თქჳენი — უშნო, უღაზათო სტატიის კითხვა და ამაზედ წერა?! «ამისთანა პირობაებში» სრული განსვე-ნების საჭიროება» მმართველის საქმიანობა «მონებრიო-ობა» «გიმსახურო» სულ ეს სიტყვები ქართული ყურის სასმენელის რჩვნილნი და თქჳენიკი არ ვიცი!...

ხოლო უ. მხარგრძელის «მორცხვმა ნატურამ» კი ერ-თი შემთხვევა მომაგონა: ერთ მეჯლისში მოიტანეს ვარ-გი ღვინო, ერთმა სტუმრმა ნახა ჭაშნიკი და თქო: ჰო, მადლობა ჩემმა ღმერთმა, აი სწორეთ ნატურალნი ღვინო ეს არის! მეორემ ეს ვერ გაიგონა და თუნდ გაეგონა არც იცოდა ამის მნიშვნელობა, და წამოიძახა: თუ ნაწურალი ღვინო ქსუთიაო, მაშ თავი ღვინო რაღა უნდა იყოსო! ვშიშობ, ვაითუ ზოგიერთმა ქართველმა, აქ მოხსენე-ბული ნატურაც ამ გვარად არ გაიგონოს, მაშა-სადამე არ შეიძლებოდა გამოეცვალათ თქჳენი მო-რცხვი ნატურა: ან მორცხვი ბუნებითა, ან გვამითა, ან პირითა. რა ვიცი რამტელი სიტყჳა არის რომლებშიაც ქართული სისხლი და ხორცი გამოსჭვირს. «განერიდა მძიმდება ლირითა» ეს არის რუსული ჰაზრის გამოხატუ-ვა ქართულის სიტყვებით. «ხაშმიანი სიტყვები» პირველი ხეში გაგონება არის! უთუოთ შხამიანი სიტყვები უნდო-და ეთქო უ. მხარგრძელს. ის ამბობს კიდევ «ლირი ხე-დამს საძაგლეებას და სიმდაბლეს თავის ქალისას» რაო! საძაგლობა და სიმდაბლე, ერთი კეთილი თჳსებაა და მეორე ბოროტი, თუ ორივე ერთსა ხატამენ? განა გვ-

რვთი სიტყჳს სიტყჳაზედ მოუფიქრებლივ სთარგმნის ვინმე? რა ვქნა, სად გისწავლიათ, სად გაზრდილხართ. ქართველები თვალით არ გინახამთ თქჳმნ დღეში უ. მხარგრძელო, თუ როგორ არის თქჳმნი საქმე?... ამ წვრილმალებს თავი დავანებოთ და გავშინჯოთ სადაც უ. მხარგრძელი პოეტობას ჩემულობს, უფრო უნდა გამოაჯავროს შეკსპირს, ლექსითა სთარგმნის. მაშასადამე იქ უფრო სინამდჳლე მიუცილებელი საჭიროება არის; აბა განვიცადოთ და ვიხილოთ ეგ ჭბი უ. მხარგრძელმა კეთილ და ძრიელ არს პოეზიაში, აი, ლექსებით ალაგებს ბაგეთა თჳსთა და იტყჳს:«წყეული იყოს! მრავალე სულებო!» დედანში ანგლიურ, ფრანცუზულ და რუსულ ენაზედ არის, **Духи тьмы,** უკანასკნელი სიტყჳს ნიშნავს; სიმრავლესაც და სიბნელესაც, ანუ სიწყჳდიადესაც, აქ უეჭველია, რომ უკანასკნელ მნიშვნელობაში მოხსენებული. მაგრამ უ. მხარგრძელს რა ენაღვლება როგორც უნდა იყოს!... «წყეული იყოს შთამომავლობა» ვისი, რისა? მთელ შთამომავლობასკი არა სწყევლის ლირი, მარტო თავის ქალს ეუბნება: «წყეულო ნაშობო ანუ ნასხლეტო! დამეკარგე აქედგან» მერმე ამბობს უ. მხარგრძელი: «მიმოფანტე ქარით ჭაერში, თესლი შობილი უმადურ ხალხში» დედანში არის: «განფანტე ქარით თესლი,—მშობელი უმადურის ერისა». არა აქამდინაც, თორემ ეხლაკი დროა გავათაოთ უ. რედაკტორო, თქჳმნც თავი შეგაწყინეთ, და სულ ყველას ვინც წაიკითხამს, უ. მხარგრძელის თვალში,ხომ სულ საგინებელი გავხდით, რა უყოთ, ესეა სოფელი, ჩჳმნ მარტო შეგვიძლიან გუსხელოთ: მოყვარეს პირწინ უძრა-

ჩვენ, მტერის პირის უყნოსოთ».—მეგი მაინც ეჭვში ვარ, რომ უ. მხარგრძელი თავის ჭკუით გაებედოს ვილიამ შექსპირისით გამოსვლა სალიტერატურო სცენაზედ, უთუოთ გინდა გაამხნევა და წააქეზა ამ სიმამაცეში, თორემ ამ რუსულისა და ქართული ენების ცოდნით შექსპირისკა არა, ტრედიაკოვსკის რომ შეხებოდა ისიცა ღმერთის გმობა იქნებოდა.

—არა უ. რედაქტორო, მე აი რასა ვფიქრობ, უთუოთ ქართული ენა უნდოდა ესწავლნა და ამიტომ უ. მხარგრძელს თქვენთან წარმოუდგენია გასასწორებლად ეს სტატია, ანუ უფრო განონიერად ვსთქვათ — ეს თარგმანება, როგორც შეგირდი ოსტატს წარუდგენს ხოლმე ენის უკანონობასების და შეცთომილებასების საჩვენებლად, რომ შემდეგში უფრო ღონისძიებით სწეროს; — თქვენ იმისა იქს ყური არ გითხოვებიათ, აგიღიათ და დაგიბეჭდიათ, — ეჰ, ეს როგორ იქნება! ეგრეთი დაღატი განა შეიძლება! ადამიანობა არ არის, რა საკადრისია? მედა ჩემმა ღმერთმა უ. მხარგრძელს დიდი საყვედური მართებს თქვენთან! (*)

(*) აქამდინ რომ წავიკითხე, ძრიელ მომეწონა ეს განხილვა და სრულებით ამ პატივცემულის ავტორის აზრებთან თანახმა ვართ და ნამდვილადაც ასეა, მაგრამ ეს საყვედურიკი, რომ ჩვენ თავს არ შეგვიდგია და არ გაგვისწორებია. ამაზედ ნურას უკაცრავათ? ვიყო და, მაგითი არა ვართ უბედურები ჩვენი წოდების ხალხნი? გვსავნიან იტალიანურს ენაზედ ნაწერსაც იმ კაცის ხელით, რომ თუ ერთი უარი უთხარი, საუკუნოდ უნდა დამარხო ეს

უ. მხარგრძელო, თუ თქუენი სწავლა; განათლება გნე-ბავდა ისეთი ენით დაგვიწყრდით, რომ გაგვეგონა რამე; თქუენ სტატიას ვინც წაიკითხავს რუსულად უნდა თარ-გმნოს, მაშინ თუ გაიგებს რასმეს; ახლა ჟამადამ ხომ არ იცის რუსული და სხუა ენები,—იმათ რაღა გააწყონ, ან პირველად ისინი უნდა გეუბნეოდათ სახეში; იმიტომ სხუა-ენების მცოდნე თქუენი უმნო უგრო ავილიამ შეგხუი-რითი გულის არ აიტყვს, სხუა ენაზედ წაიკითხავს.—არა თქუენ დალოცვილო, ხომ იცოდით თქუენი თავის ანბა-ვი და გრძელი მხრის ძალა, რადა პირდაპირ ამ გმირულ სტატიას დაასურინდით. მაინც და მაინც უპირატესს ენის-ოსის თხზულებების განრჩევა რომ არ აქვთ რა იყო?! თუ თქუენ არ იცოდით თქუენი თავის ანბავი, სხუას მაინც ჰკითხავდით: ნათქომია სამჯერ გაზომე ერთხელ გამოსჭერიო. კარგი, სტამბაში იყის თეთრი, ვერ გამო-შვით ძველი და მერე ისე ჩვეულებისამებრ და თქუენ რა და-ეშვებოდათ რომ მაინც მისაწერე ის. რატომ ვერ და-[illegible]თ.—[illegible] ვიცით ბრძენნი ამა საუკუნისა-ნი: ნეტავი ეს რა ამისთვის რომ ნავლებულობის მეტს მე-

---

ერთი მხოლოდ ობოლი სამოქალაქო ჟურნალი და თანაც ზედ დამატებით, ჰაი თქუენს ტუჲვს, თუ ერთის სიტყ-ვის გასწორებას შეუგებიხართ, ჩუენც ვფიქრობთ, ეგე, დაგიჯერდებით და ეგების ერთი ლექსის ნიღბი გაცი გამოხნილუს და ეს ძალი მოსუფული ვანა გადაიმარტოლოს მეოქი, ამ ჟურ-ნალში მაღლობას ვიძლევით ბატონო ავტორო, ამ შრომი-სის მილებისათვის. რედ.

რას ხედამს ამ სტატიაში,—რა ვქნა, გიპასუხებ მოწიწებით მე ამას მეტს ვერას ვხედავ და რასაცა ვხედამ სრულის გულწრფელობით გადვიარებ, ხოლო განც ამაზედ მეტი და არ ამის წინააღმდეგი რამ მანიშნოს იმან ისა ბრძანოს....

ბოლოს უ. მხარგრძელი დასკვნის ამ სიტყვებით: მე სრულებით არა მაქვს განზრახვა გავკიცხო სრულიად შექსპირი და იმის ტრაგედიები. ეს სიტყვები მაგონებენ შემდგომს ანეკდოტსა: იმერელი თურმე კიდობანზედ მივიდა პურის ამოსაღებათა, გამიჯა რომ არაფერი იყო და დაიძახა: არცა დევს და არცა ქვე მინდაო.—ჩვენც ამითი ვათავებთ ამ წერილს, აღარ შეგვიძლიან ვიდაოთ შექსპირის განკრძალებით მოცდა, აი სულაი ყელში მოგვებჯინა მანამ ამას გადავიკითხავდით და უ. მხარგრძელსაცა ვურჩევთ რომ არც იმან შეიწუხოს თავი ამ გვარ შრომაზედ.

ახლა მთხოვლობით ჩემო კარგო და კეთილო რედაქტორო, რომ მოთმინებას არ დამკარგავთ და მომისმინეთ ჩემი დარდი და ვარამი, მაგრამ რასაკვირველია, უფრო მადლობელი ვიქნები, თუ ღირს გამხდი თქვენი ცისკრის მკითხველებთან განცნობას და შევრაცხ ჩემს თავს ყოვლადვე დაჯილდოვებულად თუ ერთის ორს მაინც ვნახავ ჩემი აზრების თანახმას უ. მხარგრძელის სტატიაზედ.—თუკი ამ წერილს რამე უღირსება აბრკოლებს წარსდგეს წინაშე პირთა ცისკრის მკითხველთასა, მაშ თქვენ კარგათ იყავით და მეც ჩემ ქერქში დავეგდები, რომლისა შემდეგაც დავშთები როგორც აქამდის.

თქუენნი ჟურნალის მრავალ ჟამიერებითის სიცოცხლის მნატვრელი და რიგიანი ლიტერატორების აღმოჩენის მლოცველი და მავედრებელი

ალ. ცაგარელი.

**12** მარტსა, **1865** წელსა.
ს. ცაგერი.

# მამულის ერთგული ქალი

(პატრიოტკა.)

ძველის ისტორიით გვესმის, რომ სხუა და სხუა დროე-
ბაშია ყოფილან მრავალნი თავიანთის მამულის მოყვა-
რენი, რომელთაც ბევრს შემთხვევაში შეუწირავთ თავი-
ანთი სიცოცხლე. მე მოგახსენებთ ერთის ქალის მოკლეთ
ისტორიასა მამულის მოყვარეობაზედ, რომელსაც არ და-
უზოგამს თავისი თავი და მსხვერპლათ შეუწირავს მა-
მულისათვის.

პატარას ქალაქის მახლობლად, რომელსაც ეწოდების
ჩესტოხოვს, ერთს ალაგს დღევანდელამდის მოიპოვება
მოსჩანს მაღლობი ადგილი შემოვლებული გარშემო მო-
ღრმოს თხრილით, იმ მაღლობზედ დარჩენილია მონგ-
რეულ-მოჩანგრეული ქვიტკირის შენობა, რომელს ალაგას
მდგარა დიდი და მაგარი ციხე, ის ციხე ძველათგან გაუ-
თქვენდა გამოჩენილს მდიდარს პოლშის ჩამომავლობასა,
გვარათ ვალევსკებსა: იოანნის კაზიმიროვის ხელმწიფო-
ბის დროს იმ ციხეში ცხოვრობდა ქვრივი ვალევსკისა,
რომელიც უდროოთ დაქვრივდა და თავის ქმრის სიყვა-
რულობისაგამო მეორედ აღარ გათხოვდა, თუმცა იყო

მეტად მშჳნიერი ახალგაზდა და მდიდარი, ვგონებ ეჭვი აღარ უნდა, რომ იმისთანა გამოჩენილის გვარის ქალი ბევრს სანატრავათ ექნებოდა შესართავათა ცოლათა. იმ დროებაში იმყოფებოდა სხუათა შორის ერთი შესანიშნავი გვარისა ვაცლავი სადოვსკი, რომელიც ჯერ ადრე ემსახურებოდა კაროლსა, შემდეგ ეღალატნა, გამდგარიყო და შეერთებულიყო შვედებთანა, იმათთან ერთად ებრძოდა თავის სამშობლოს ქჳეყანას პოლშასა, ის ყოფილა მეტად ამპარტავანი, მოუსვენარი, ხარბი და ბოროტი კაცი სიმდიდრის გულისათჳს კოროლის მეათეს დროს გადასულა შვედებთან და იმათთან ერთად იგდებდა თურმე ყაჩაღობით პოლშის გარეშემო ადგილებსა. ის ადრევე გალესკის ქვრივს ამის ქმრის სიცოცხლეშივე ეარშიყებოდა, მაგრამ ვერა გამხდარიყო თუმცა იყო მეტად მშჳნიერი თვალად ტანადი და გულადი კაცი. როდესაც გალესკის სიკუდილი შეეტყო, მაშინვე გამოუხატნა თავის გულში იმ ქურივს შერთვა ცოლადათ, მაგრამ როგორღა მოახდენდა, როდესაც ის იყო გამდგარი და შეერთებული შვედებთან, ქალი იყო პოლშაში. რომელმაც დიდათ შეიტყო რადგანაც უღალატა თავის სამშობლოს ქჳეყანასა და ავაზაკობდა.

სადოვსკი შეუდგა თავის გულითადს წადილსა და მოსწერა წიგნი, ითხოვა ცოლქმრობისა, ქალმა პასუხიც არ აღირსა, სადოვსკიმ გაუგზავნა მეორეთ გაჯავრებული და მუქარებით წიგნი, ამ გზობითაც დარჩა უპასუხოთ ქალისაგან ან როგორ შეირთავდა თავის გამოჩენილის ქმრის შემდეგ მდაბალ ხარისხის კაცსა!

იმ დროებაშია შვედის პოლკები იდგნენ მოახლოებით გალიცკის მამულიდგან, სადაც ერის პოლკშიაც იმყოფებოდა სადოვსკი, რომელმაც გამოარჩივა რამოდენიმე მამაცი შვედები და გაჯავრებული წამოიყვანა ვალევსკის ციხისაკენ, გზაზედვე უბძანა სალდათებსა, რომ იმ ციხეს შიგვე უნდა შემოერტყნენ. როდესაც მივიდნენ მახლობლივ, მაშინვე აღასრულეს ბძანება თავიანთის ნაჩალნიკისა და ციხე შეიპყრეს, სადაც იმყოფებოდა ქვრივი ვალევსკისა, რომელსაც მოუგზავნა სადოვსკიმ კაცი და სთხოვა ნება პირისპირ გამოსალაპარაკებისა. ქალს თუმცა დიდათ ეჯავრა, მაგრამ რადგან გააწყობდა როდესაც ნახა თავის ციხე გარეშემო ჯარ შემორტყმული, უარი ველარ შეუთვალა და შეიწვია სალაპარაკოთ.

—მომიტევეთ, მოახსენა სადოვსკიმ, შენმა სიყვარულმა გამაბედვინა თქვენი შეწუხება და გეახლით თქვენთან პირისპირ მოსალაპარაკებლათ.

—რა გნებავსთ, ბძანეთ, უპასუხა ქალმა გაჯავრებულის სახით.

—თქვენის ქმრის სიცოცხლეშივე ჩემზედ გქონდათ ყურადღება, მე მოგწონდით და ახლა რადგანაც თავისუფალი ბძანდებით, უეჭველად მოიმედე ვარ აღმისრულდეს ჩემი გულითადი წადილი.

—მართალია მე ვიყავ მაშინ თქვენი პატივისმცემელი ჭეშმარიტის მართალის გულითა, და შესანიშნავიც იყო შენი ერთგულებითი სამსახური ჩემის და შენის მამულისა, ეხლა რა გწადიან და ან რა განზრახვა გაქვს, ბძანეთ.

—მე მსურს შენზედ ჯუარის წერა, თუ უარს მიბძანებთ, ამ ციხეს მაწასთან გავასწორებ, მოგიტაცებთ, წაგიყვან შვეციაში და იქ გიქორწინებ როგორც საყვარელსა.

—მადლობით და უნებაყოფლობითა გკონებ შეუძლებელი იყოს ცოლქმრობა! კარგათ უნდა იცოდე ეკლესიური წესიერება, უპასუხა ქალმა.

—სიყვარულს ზღვარი არა შეუძლიან, მე დიდად მიყვარხართ და მამწონხართ, უარსაც ნუ მიბძანებთ, თორემ ძალას მოვიხმარებ.

—შენი მუქარება, უპასუხა ქალმა მე ვერ შემაშინებს, ვერცარა შენი ჯარი, რომელიც გიყენია გარეშემო ციხისა, მე ვერას დამაკლებს, თუ გაქვს ძალა ჩემთან ბრძოლისა გაბძანდი გარეთ და იქიდამ ვებრძოლები ერთმანერთსა. ხედამ ჩემს მომზადებასა, საცამ შენ გაჰვიდოდე, ერთის ბძანებით დავცემ მირს შენს ჯარსა, მე გირჩევ; გონება მოიხელოვეთ, ნუ მეირცხვენთ თავსა როგორათაც შერცხვენილი ბძანდებით მამულის ღალატობითა. უკანვე წაბძანდით თორემ აქედამ ცოცხალი ვერ გაბძანდებით, მე მეხსანათო შენა.

—სადოვსკი ძალიან შესწუხდა და დაფიქრდა, გულმა ჯავრისაგან სულ ფეთქა დაუწყო, აღარა გაეგებოდარა იმ ჟამათ სად იმყოფებოდა. გაწუმეტებული შეეშინდა.

—გამიგონე უფალო სადოვსკი, განაგრძელა ქალმა მამულის მოღალატე კაცი ღმერთისაგანაც არის განრისხებული და ხალხისაგან დაწყევლილი, მე საზიზღართ მიმაჩნია თქუენი სახე, მენცან გიღეს უნდა ჰქონდეს იმედი ერთგულობისა, რომელსაც შენს სამშობლოს ქვეყანას უზო-

ძეი, შენის ძმების სისხლსა ღვრი, მერწმუნეთ რომ ამ სოფელში ვერსად ვერ იხეირებთ და შენს სიცოცხლეს დაასრულებ ტანჯვით და უბედურათ ვინ იცის სადა მო-მჰკლდები და დედამიწის ღირსსაც არ გაგხდიან.

სადოვსკი, სვინიდის დაკარგული, ურცხვი, არ შეიცხვი-ნა თავი ქალის მუქარებით ლაპარაკითა, იმას იმედი ჰქონ-და ქალის სიმდიდრისაგან და იმისი დანძლევა სულ გის-რათ იყო, ოღონცკი აესრულებინა თავისი სურვილი და ის შეერთო ცოლათ. სიმდიდრის გულისათვის ულალა-ტა თავის მამულსა, შეუერთდა მტრებსა და მტრის კარო-ლისაგან იმედოვნობდა გამდიდრებასა, მაგრამ შეცთომი-ლი იყო ან რისთვის მისცემდა კაროლი, ამის მიზეზით გადასწყვიტა ქვრივი უნდა შეერთო, რადგანაც იყო მეტად მდიდარი.

ქალმა ნახა რომ იმისმა ლაპარაკმა, დარიგებამა, და თითქო დანძლევამ ვერასფერით იმოქმედეს სადოვსკიზედა, რომელიც იდგა, უყურებდა და მოელოდა თანხმობის პა-სუხსა, მაშინ ქალმა უთხრა: უბედურო რომ შენ ნატრუ-ლობ ჩემს სიკვდილსა, მე ხვალ მუადღისას მზათ გიქნე-ბი, მოიყვანე და რაცა გსურდეს ის აღასრულეთ.

ამ გვარის პასუხისაგან სადოვსკი ფრიად გახარებუ-ლი, მთელი მისი სხეული თრთოლამ აღიტაცა, წინ წარ-გა მადლობის მოსახსენებლათ და უნდოდა ეკოცნა ხელ-ზედა, მაგრამ ქალმა არცკი მოიახლოვა, უბძანა მობძან-დით. თუმცა სადოვსკიმ თავის აზრით იმედოვნებული პასუხი მიიღო მაგრამ, მაინც კიდევ დიდს ეჭვში იყო, ამის მიზეზით, დასტოვა თავის ჯარისაგან რაოდენიმე

რომელთაც უბძანა ციხე გარეთ შეინახონ და იქიდამ არა-ვინ გამოუშვან, ეგონა რომ ქალი ციხიდამ გაიპარება. თვითონ საჩქაროდ წავიდა თავის პოლკშია მღვდლის მო-საყვანად და მოსაპატიჟებლათ თავისის ამხანაგების ქორ-წილშია რა შეიტყეს ამხანაგებმა ეს ამბავი, დიდად გა-უკვირდათ და მიულოცეს გამარჯვება, რომელსაც სრულე-ბით იმედი არა ჰქონდათ თანხმობაზედ ქალისაგან.

როდესაც მარტოთ დარჩა ქალი, შევიდა თავის ოთა-ხშია, მოკეტა კარები და ღმერთის მშობლის ხატის წინ დაიჩოქა, მდუღარე ცრემლით სტიროდა და ევედრებოდა გადაარჩინოს მტრის ხელიდამ თავის საშობლო ქვეყანა, და გულის გზაზედ დააყენოს სადოვსკი, საყებინოს ჩუ-ლი ავასავობიდამ, ცოტას ხანს შემდეგ გამოვიდა სატი-რალევის თვალებით და მეწუხარების სახით, უქმათ ცდი-ლობდნენ თავის გრძობანი დაამშვიდონ და ანუგეშონ, მაგრამ ის საბრალო ქალი სულ სტიროდა და ეხვეწე-ბოდა ყველასა, არავინ იცოდა იმისი საშინელი განძრახვა, რომელიც უნდა აღესრულებინა დანიშნულს დროს. ცი-ხის ყარაული დაასაჩუქრა და საიდუმლოთ უბძანა მოემ-ზადებინა ციხის ბანზედ ყოველი იმისი განკარგულება, აგ-რეთვე გასცა ბძანება, რომ როდესაც სადოვსკი დაინახონ მახლობლივ სასახლისა სულ ყველანი დიდი და პატარა გავიდნენ გალავანიდამ და რომელიც არ აასრულებს, დიდს სასჯელს მიეცემა.

მეორეს დღეს უფალი სადოვსკი გამოემგზავრა მხია-რულათ დიდის ამალითა, რომელსაც მოსდევდნენ მეკვლები და პოლკის მოძღვარი ჯვარით დასაწყურით, მუსიკით და

სიმღერითა, ისე ჰქონდა დაწყობილი, რომ სწორეთ როგორც ქალმა უძახა შუადღისას მისვლა სასახლეშია, შუა-გზაშივე წინ მიეგება მოხუცებული მსახური ქალის, და-[illegible] და მიართვა დაბეჭდილი წიგნი, [illegible] და წერილით:

ძვირფასო [illegible]!

თუ შენში [illegible] დარჩენილია [illegible] სვინიდისისა: თუ შენს ძარღვებში [illegible] სისხლი და [illegible] მეფისა. დამიჯერე და ნუ [illegible] ჩემს სასახლეს. მერწმუნე, შენ [illegible]. [illegible] ამ ჩემს [illegible] ჩემს სამეფოს [illegible], [illegible]. [illegible] ჩემს [illegible] ჩემს მამულის სასახლეთა, რომ რაც სამეფოს [illegible] მწარს. [illegible] და შენ [illegible] დაბრუნებული [illegible], მე [illegible], ღმერთის [illegible], იმათ [illegible] და [illegible] შენს მამულს, თორემ ამ სოფლით იქნები შერცხვენილი და იმ სოფლით წარწყმედილი.

ქართლი ვახტანგისა.

[illegible] სახით [illegible] უბძანს წიგნის [illegible], მოახსენე შენს ქალბატონს, მე იმას [illegible] ვერ [illegible] და ვერც [illegible] იმის თხოვნისა, თვით იმასვე [illegible] დღეს შუადღისას [illegible]-

რის წერა, ხელამ რას ხალისით და ამბავით მოვდივარ იმასთანა და იმედიც მაქვს, რომ ის არ გადავა თავის პირობაზედა.»

მსახური გამოჩქარდა ამბავის მოსატანათ. და რადგანაც იცოდა მოკლე ბილიკის გზა, წინ წამოუსწრო და სიჩქარით მოვიდა თავის ქალბატონთანა, რომელიც მოუთმენლად ელოდა პასუხსა, რაკი შეიტყო სადოვსკის პასუხი უარისა, მაშინვე საჩქაროდ გასცა ბძანება, რომ გავიდნენ ყველანი ციხიდამა, თვითონ ავიდა ბურჯზედა და დადგა დამარხულს ზანდუკზედა სამსე თოფის წამლით, რომელიც ადრევე მოემზადებინა ამ შემთხვევისათვის, ხელში დაიჭირა ანთებული წუმწუმა, იქიდამ დაინახა სადოვსკი რომელიც მოახლოვდებოდა მხიარულათ იმტენის ხალხით მუზიკით და სიმღერით, ერთს მხარეს თხრილზედ გადებული იყო ხიდი, რომელზედაც უნდა გამოევლოთ იმათ. რაკი სადოვსკიმ შემოდგა ფეხი იმ ხიდზედა, აიხედა მაღლა, საიდამაც დაინახა ბურჯზედ მდგომარე ქალი, მეტად იმედი მიეცა და ქვევიდამ სადოვსკიმ დაუკრა თავი, ასე ეგონა რომ ქალი იმას გამოეგებება, იმ მინუტს, როდესაც სადოვსკი გამოდიოდა ხიდზედა თავისის ამალით, ქალმა მოუკიდა ცეცხლი წამალსა, რომლისაგანაც გაჩნდა საშინელი გრგვინვა და ქუხილი, ერთი თვალის დახამხამებით ისე გასჭრა ის ბურჯი, რომ არცკი ეტყობოდა იქ რამე შენობა, თითქო გასქდა დედამიწა და ხელი მაგ ჩაიტანა, წარმოიდგინეთ უფალს სადოვსკის რაღა დაემართებოდა თავისის შვილებით, რაკი იფეთქა წამალმა და დაინგრა ციხე. ოჰ უბედურებავ! საშინელი

სანახავნი შეიქმნენ, ერთი ვეღარ გამობრუნდა მთელი და მრთელი, დაუფთხათ ცხენები, ზოგნი გადცვივდნენ თხრილებში, ქვების ქვეშ მოჰყვნენ და იქ დაიხოცნენ, ზოგნი რომელთაც მოხვდათ ნატეხები ქვებისა იქვე გამოესალმნენ ამიერ სოფელს, თჳთ უფალი სადოვსკიც თუმცა სიკჳდილს გადარჩა, მაგრამ თავპირ დამტვრეული, შერცხვენილი, ვაი იმ გამობრუნებას რომ ის ცოცხალი მკჳდარი დაბრუნდა შინისაკენ. რა მოუვიდა საბრალოს მოძღვარსა ისკი აღარ ვიცით, უნდაკი წარმოვიდგინოთ რომ იავისის მოწაფის წყალობით ვერცარა ის გადარჩენოდა იმ სამინელებასა რომელიც ერთმა ქალმა წარმოადგინა საქციელით, და დარჩა სამჳლის-მჳლოთ იმისი მხნეობა და უსირცხობა, რომლითაც შესწირა თავისი თავი, თავის მშობელის ქეწვენისას.

უფალი სადოვსკი დიდს ხან იტანჯებოდა დამტვრეულობისა და დაჟეჟის გამო, რამდენისამე ჟამის შემდეგ კელმწიფობაში კაროლის მეათის დროს კიდევ შეემთხვა დიდს უსიამოვნობასა, რომლისათჳს დიდათ გაუწყრა კაროლი და გააგდო, მაინცი ვეღარ შეუძლო იმ უბედურებასა, ჩავარდა დიდს სიღარიბეში, დიდს ხანს ტანჯვით ატარებდა თავის სიცოცხლესა, დაჭლექდა და მოკჳდა იმითი აღსრულდა საბრალოს ქალის სურვილი, რომელმაც ადრევე უქადაგა და ვერასოფრით შეასმინა.

მიხ. ჩივიანი.

## სხუა და სხუა ამბავი:

მამულის ერთგული ქალი. მიხ. ჩიკიანისა.

---

**1 8 6 5 წლის**

## «ცისკრის» დაბარება შეიძლება ამ სახით:

ტფილისში, ადგილობრივ გაუგზავნელად **6** მან. დამატებით. **7** მან.

სხუა ქვეყნებში გაგზავნით, დაუმატებლივ **7** მან. დამატებით. **8** მან.

რედაქცია იმყოფება კუკიას, საკუთარს კერესელიძის სახლებში, ქ. ტფილისს.

ვისაც ჟურნალი დააკლდეს და თავის დროზედ არ მიერთოს, უმორჩილესად ითხოვს რედაქცია, მაშინვე აცნობოს ამ ადრესით:

«ცისკრის» რედაქციაში ტფილისს.